ჩვენი სოფელი

გაზეთი გამოდის 2015 წლის ოქტომბრიდან

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური გამოცემა • ივლისი / 2021 № 64

- ქ. წნორში კომბინირებული საკვების საწარმო ფუნქციონირებს
- საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ, პროგრამით „დანერგე მომავალი“ გაშენებული კაკლის ბაღში პირველ მოსავალს ელოდებიან
- სოფელ წინწყაროში რძის გადამმუშავებელი თანამედროვე საწარმო მოქმედებს

ქართული ღვინო გვ 14

- 2019 წლიდან დღემდე, ვენახების საკადასტრო ამონაწერი გაცემულია 21 ათას ფერმერზე, აქედან 6 ათასი, მიმდინარე წელს

- ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ბრენდის ექსპორტით მიღებული შემოსავალი 130 მლნ აშშ დოლარია
- პეკინში, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით გამართულ დეგუსტაციაზე, განსაკუთრებული მოწონება ქვევრის ღვინომ დაიმსახურა
- მონაკოში ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარი გაიმართა
- ბრიტანელმა ღვინის ექსპერტებმა ქართული ღვინოებს საუკეთესო შეფასება მისცეს

ვაზის ჯიშები გვ 15

რქაწითელი ვარდისფერი, ჯვარი, დანახარული, ბუზა

დაცული ტერიტორიები გვ 16



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ორი ახალი ვიცე-პრემიერი დანიშნა

მინისტრთა კაბინეტში ვიცე-პრემიერის თანამდებობებს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი **თეა წულუკიანი** და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი **ლევან დავითაშვილი** დაიკავებენ.

მთავრობის შემადგენლობაში, ჯამში, სამი ვიცე-პრემიერია. აღნიშნული თანამდებობა ასევე უკავია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ დავით ზალკალიანს.

გარემოს დაცვა და სოფლის განვითარება 2030 გვ 2-8

პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, მთავრობის ათწლიანი გეგმის ფარგლებში, სამინისტროები საკუთარი მიმართულების ხედვებს წარადგენენ, რომელიც ეკონომიკური სტაბილურობისა და ქვეყნის სიძლიერისთვის მომდევნო წლების სახელმძღვანელო იქნება.

გრძელვადიანი ხედვა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა წარადგინა. მინისტრმა განვითარების ხედვის მიმართულებებზე დეტალურად ისაუბრა.

ინტერვიუ გვ 9

ინტერვიუ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ოთარ შამუგიასთან

ახალი ამბები გვ 10-12

- ლევან დავითაშვილი: „RMG-ის მიერ გარემოზე ზიანის შემცირების მიზნით გაწეული საქმიანობის მონიტორინგს სამინისტრო მუდმივად ახორციელებს"
- UNDP-ის და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, ტყის მრავალფუნქციური გამოყენების ხელშემწყობი პროექტი მიმდინარეობს
- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, ცირკულარული ეკონომიკის შესახებ სემინარი გაიმართა
- ლევან დავითაშვილი შიდა ქართლში ფერმერებსა და მეწარმეებს შეხვდა
- გიორგი ხანიშვილი ატმის მიმღებ-გადამმუშავებელი საწარმოების ხელმძღვანელებს და ფერმერებს შეხვდა
- ატმისა და ვაშლატამას ექსპორტის მოცულობა, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 18 -ჯერ გაიზარდა

- მიმდინარე წლის 1 მაისიდან 11 ივლისის ჩათვლით პერიოდში განხორციელდა 789 ტონა მოცვის ექსპორტი, რომლის ღირებულებამ 4,738 ათასი აშშ დოლარი შეადგინა

- საქართველოს მთავრობამ აკვაკულტურის სფეროს განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი რეგულაციები დაამტკიცა
- ველური ბუნების სააგენტოს ორნიტოფერმაში კოლხური ხოხბის, კაკბისა და გნოლის წიწილები გამოიჩეკა

წარმატების ისტორიები გვ 13

- წარმატებული საწარმო იმერეთის რეგიონში

მინდა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს და მის გუნდს დიდი მადლობა გადავუხადო გაწეული სამუშაოსთვის. მათ დეტალურად წარმოადგინეს ხედვა, თუ როგორ უნდა განვითარდეს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა.

ბოლო 8 წლის განმავლობაში, მთავრობის მხრიდან ჩადებული ინვესტიციის მოცულობა შეადგენს დაახლოებით 2 მლრ ლარს. ამის გარდა, კერძო სექტორის მხრიდან 1 მლრ ლარის ინვესტიცია განხორციელდა. ჩვენი ამბიციური გეგმით, მომდევნო წლების განმავლობაში, მთავრობის და კერძო სექტორის ერთობლივი ინვესტიციის საერთო მოცულობა შეადგენს 7 მლრ ლარს. ჩვენი გათვლებით, პროგრესი იქნება მეტად ინკლუზიური; მთავარი ამოცანაა, მეტი მოქალაქის დასაქმება, მოსახლეობის ჩართვა სოფლის მეურნეობაში, რეგიონების გაძლიერება. მთავარი ამოცანაა, მეტად თვითუზრუნველყოფილი გახდეს ჩვენი ქვეყანა. ჩვენ ბევრი იმპორტირებული პროდუქტი შემოგვაქვს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მეტის წარმოება ქვეყანაში და ამ მიზნით, წარმოგიდგენთ იმ პროგრამებს, რომელიც უზრუნველყოფს მეტ ჩართულობას ჩვენი მოქალაქეების. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი არის მაღალკვალიფიციური და მინდა წარმატება ვუსურვო.

„გარემოს დაცვა და სოფლის განვითარება 2030“ - გრძელვადიანი ხედვა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა წარადგინა. მინისტრმა განვითარების ხედვის მიმართულებებზე დეტალურად ისაუბრა.

ღონისძიებას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, საქართველოს პარლამენტის წევრები, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები, სახელმწიფო რწმუნებულები, დიპლომატიური კორპუსის და საერთაშორისო, დონორი ორგანიზაციების, დარგობრივი ასოციაციების და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები და ფერმერები ესწრებოდნენ.

პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, მთავრობის ათწლიანი გეგმის ფარგლებში, სამინისტროები საკუთარი მიმართულების ხედვებს წარადგენენ, რომელიც ეკონომიკური სტაბილურობისა და ქვეყნის სიძლიერისთვის მომდევნო წლების სახელმძღვანელო იქნება.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო პირველი უწყებაა, რომელმაც დარგის განვითარების ათწლიანი ხედვა წარადგინა.

„ჩვენთვის სოფლის მეურნეობის განვითარება და გარემოს დაცვაზე ზრუნვა არის უმნიშვნელოვანესი გამოწვევა. ამ გამოწვევის გასამკლავებლად, მნიშვნელოვანია თანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკა. ბატონი ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით, 2012 წლიდან, სოფლის მეურნეობა გამოცხადდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად და სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის დარგის მხარდაჭერა იმ შედეგებში აისახა, რაც დღეს ჩვენ გვაქვს.

მიუხედავად პანდემიისა, 2020 წელსაც კი, ჩვენ გვქონდა ძირითადი ეკონომიკური პარამეტრების თანმიმდევრული გაუმჯობესება, რის შედეგადაც, ორნიშნა ზრდა გვქონდა როგორც გამოშვების, დამატებითი ღირებულებების შექმნის, ისე ერთ დასაქმებულზე პროდუქტიულობის თვალსაზრისით; ეს არის ჩვენი თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგი, რომელსაც მომავალ წლებშიც ასეთივე ტენდენცია ექნება.

ჩვენი ამოცანა გრძელვადიანი ხედვის ჩამოყალიბებაა; მადლობა მინდა გადავუხადო პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს განსაკუთრებული მხარდაჭერისთვის; იმისათვის, რომ მეტი რესურსების მობილიზება შევძლოთ შემდეგი 9-10 წლის განმავლობაში, რომ ის ზრდის ტემპი, რომელიც გვაქვს, გავზარდოთ და უფრო ამბიციური გეგმები, რომელსაც ჩვენ დავისახავთ განვახორციელოთ, ძალიან მნიშვნელოვანია კერძო სექტორის ჩართულობა, დონორი ორგანიზაციების გვერდში დგომა; მადლობა მინდა გადავუხადო მათ იმ წვლილისთვის, ისინი იქნებიან მონაწილე მომავალი გეგმების შესრულებაშიც; მნიშვნელოვანია სახელმწიფოს თანმიმდევრული პოლიტიკის გაგრძელება.

ჩვენ რამდენიმე მიზანს ვისახავთ - ეს არის სასურსათო უსაფრთხოების მიზნით ჩვენი თვითუზრუნველყოფის ამაღლება; როდესაც ვსაუბრობთ ამ მიზანზე, საქართველოს აგროსასურსათო სექტორის საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებაზე, ვგულისხმობთ ასევე ინკლუზიურობას იმისათვის, რომ ეს ზრდა, ეს ეკონომიკური პროგრესი, რომელიც რიცხვებში გვაქვს გამოსახული, შეეხოს თითოეულ ჩვენს მოქალაქეს, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას და მათ კეთილდღეობას; ის ეკონომიკური სიკეთე გადანაწილდეს ჩვენს თანამოქალაქეებზე.

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის უზრუნველყოფა ჩვენი მნიშვნელოვანი ამოცანაა. კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის მდგრადი მართვისთვის, გვჭირდება შესაბამისი ინსტიტუციური განვითარება.

ჩვენ ძალიან დეტალური გეგმები მოვამზადეთ პრემიერ-მინისტრის დავალებით და მზად ვართ, რომ საზოგადოებას წარვუდგინოთ ძირითადი სამიზნე მაჩვენებლები, რომლებზეც მომავალში შეგვიძლია ვიმსჯელოთ დეტალურად. კონკრეტული გათვლები და სამოქმედო გეგმები, კონკრეტული დარგების თუ რეგიონების მიხედვით განსაზღვრული პრიორიტეტები სამინისტროს აქვს დამუშავებული, რომელიც აკადემიის წარმომადგენლებთან, ექსპერტებთან, დარგობრივ ჯგუფებთან ერთად უნდა განვიხილოთ სამუშაო ფორმატებში, პარლამენტის ჩართულობით და საზოგადოების ფართო მონაწილეობით, როგორც სოფლის მეურნეობის, ისე გარემოს დაცვით მიმართულებებში“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

ლევან დავითაშვილი: „ჩვენ გვაქვს ამბიციური გეგმა, რომ თვითუზრუნველყოფა მაქსიმალურად გავზარდოთ“

ჩვენ ვისაუბრეთ თვითუზრუნველყოფაზე. სოფლის მეურნეობაში გვაქვს მიმართულებები, რომელთა საექსპორტო პოტენციალი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. ჩვენი ძირითადი სასურსათო კატეგორიები, ხორცპროდუქტებში, რამდენიმე მიმართულებისგან შედგება. ეს არის საქონლის, ღორისა და ფრინველის ხორცი. არ ვსაუბრობთ ცხვრის ხორცზე, რამდენადაც ქვეყანაში ცხვრის ხორცის მოხმარება ნაკლებია, თუმცა, საქართველო მნიშვნელოვანი ექსპორტიორია როგორც ცხვრის ხორცის, ისე ცოცხალი ცხვრის.

ჩვენ გვაქვს ამბიციური გეგმა, რომ თვითუზრუნველყოფა მაქსიმალურად გავზარდოთ. ჩვენ ვაორმაგებთ ხორცის წარმოებას და ვზრდით წარმოებას რძის მიმართულებით, სადაც თვითუზრუნველყოფის მიმართულებით უკეთესი სიტუაცია გვაქვს. დღეისათვის, საქართველო იმპორტულ რძის პროდუქტებზეა დამოკიდებული. 2030 წლიდან, საქართველო გახდება რძის პროდუქტების ექსპორტიორი ქვეყანაც.

როდესაც ვსაუბრობთ ეკონომიკაზე და ეკონომიკურ მონაცემებზე, სოფლის მეურნეობის მიმართულებით, ეს არის საექსპორტო მაჩვენებელი. სოფლის მეურნეობა ჩვენი მთლიანი ექსპორტის მნიშვნელოვან წილს წარმოადგენს. საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქტების ღირებულებაში, თითქმის 1/3 სოფლის მეურნეო-

ბაზე მოდის. ჩვენი ამბიციაა, რომ სოფლის მეურნეობა იყოს ნეტო ექსპორტიორი და ამ ამოცანას ჩვენ უახლოესი 2 წლის პერსპექტივაში მივაღწევთ. ამას მოწმობს ის სტატისტიკა და ტენდენციები, რომელიც 2012 წლიდან აგროსასურსათო სექტორის სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების მიხედვით გვაქვს.

მიზნობრივი საგრანტო პროექტების მხარდასაჭერად, მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან, 3 მილიარდი ლარი იქნება გამოყოფილი

ყველაფრისთვის საჭიროა ინვესტიციები. სახელმწიფოს თანადაფინანსების გარეშე არაფერი გამოვა. დღეს, პრემიერ-მინისტრმაც ისაუბრა, რომ უპრეცედენტოდ გაიზრდება სოფლის მეურნეობის დაფინანსება მიზნობრივი საგრანტო პროექტების მხარდასაჭერად, მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან გამოყოფილი იქნება 3 მილიარდი ლარი. ეს ნიშნავს, რომ კერძო სექტორი, თავის მხრივ, მოახდენს 4 მილიარდი ლარის მობილიზებას. შემდეგი 9 წლის განმავლობაში, პირდაპირი ინვესტიციის სახით, მხოლოდ ძირითად საშუალებებში მიმართული იქნება 7 მილიარდი ლარის ინვესტიცია, იმისთვის, რომ ჩვენი ამბიციური მიზნები იქნას მიღწეული. ჩვენ გვექნება სისტემური პროექტები საკრედიტო რესურსებზე წვდომის კუთხით.

ლევან დავითაშვილი: „იმ შემთხვევაში, თუ გავაორმაგებთ ინვესტიციებს, ჩვენი სამიზნე მაჩვენებელი აგროსასურსათო სექტორიდან 3 მილიარდი დოლარის ექსპორტი იქნება“

აბსოლუტურად რეალურია, რომ ქვეყანამ აგროსასურსათო სექტორიდან 3 მილიარდი დოლარის შემოსავლები მიიღოს. საქართველოს აქვს შესაძლებლობა, 300-დან 400 მილიონ დოლარამდე ღირებულების პროდუქციის იმპორტჩანაცვლება მოახდინოს, რის შედეგადაც, სავაჭრო ბალანსი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება. ჩვენ დავიწყეთ იმპორტის ზრდის გაჩერება და საბოლოოდ, საქართველოს ეკონომიკაში, ნეტო ექსპორტი აგროსასურსათო სექტორიდან, 2030 წლისთვის, 2 მილიარდი დოლარი იქნება. ეს არის დამატებითი შემოსავლები კომპანიებისთვის, ბიზნესისთვის და ჩვენი მოქალაქეებისათვის.

ლევან დავითაშვილი: „საქართველოში წარმოებული პროდუქცია უნდა იყოს აბსოლუტურად კონკურენტუნარიანი და ისეთი ფორმით მიწოდებული ბაზარზე, რომელსაც თანამედროვე სტანდარტები და თანამედროვე მოთხოვნები ითვალისწინებს“

ჩვენ გვჭირდება პირველადი წარმოების დასაბინავებლად შესაბამისი გადამმუშავებელი სიმძლავრეები, შემნახველი ინფრატრუქტურა, შესაფუთი ინფრასტრუქტურა და შესაბამისი ინვესტიციები, რადგან საქართველოში წარმოებული პროდუქცია უნდა იყოს აბსოლუტურად კონკურენტუნარიანი და ისეთი ფორმით მიწოდებული ბაზარზე, რომელსაც თანამედროვე სტანდარტები და თანამედროვე მოთხოვნები ითვალისწინებს.

აგრარული დარგის მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, ქვეყანაში ფუნქციონირებს თანამედროვე მეურნეობები და საწარმოები; სოფლის მეურნეობაში ჩართული მეწარმეებისა და ფერმერებისთვის ხელმისაწვდომია იაფი ფულადი რესურსი, რაც უფრო მიმზიდველს ხდის დარგში ინვესტირებას.

სოფლის მეურნეობის განვითარების გრძელვადიანი გეგმით, გათვალისწინებულია შემნახველი და გადამმუშავებელი მეურნეობების მეტი მხარდაჭერა; უახლოესი 10 წლის განმავლობაში, დარგში 1,7 მილიარდი ლარის ინვესტირებაა დაგეგმილი, საიდანაც სახელმწიფოს წილი 700 მილიონზე მეტია. შედეგად, ქვეყანაში კიდევ მეტად გაიზრდება ადგილობრივი წარმოება.

დღეისათვის, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამმუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების გაუმჯობესების მიმართულებით, მიმდინარე საკრედიტო პორტფელი 1,3 მლრდ ლარამდეა, რაც 22-ჯერ აღემატება 2012 წელს სოფლის მეურნეობის მიმართულებით არსებულ საკრედიტო პორტფელს (57 მილიონ ლარს). სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით, სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამების ფარგლებში, შექმნილია/გადაიარაღებულია და ფუნქციონირებს 1000-ზე მეტი საწარმო.

„ჩვენ მივიღეთ კანონი აკვაკულტურის შესახებ. ეს იყო ამბიციური გარღვევა. ახლა ჩვენი მნიშვნელოვანი ამოცანაა ამ კანონის შესრულება, რომლის შედეგადაც ჩვენ შიგა წყლების რესურსებს სრულად გამოვიყენებთ. საქართველო, მხოლოდ შიგა წყალსაცავებში, დაახლოებით, 20 000 ტონამდე თევზის და ზღვის პროდუქტების წარმოების შეძლებს, ეს იქნება მნიშვნელოვანი კონტრიბუცია, რომ შიდა მოთხოვნა, დაახლოებით, 70%-ით დავაკმაყოფილოთ“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა

აღსანიშნავია, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო საქართველოს საზღვაო სივრცეში და შიგა წყალსატევებში ძირითად სარეწაო ბიორესურსების შეფასებას და პროგნოზირებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განახორციელებს; ასევე, თევზის რესურსების ინვენტარიზაციას, პერსპექტიული თევზის სახეობების და წყლის ეკოსისტემების ფონდის განსაზღვრას, თევზის რესურსების მდგომარეობის ეკოლოგიურ და ეკონომიკურ შეფასებას, რაც, გრძელვადიან პერსპექტივაში, ხელს შეუწყობს საზღვაო მარიკულტურის პოტენციალის ამაღლებას, წარმოების მოცულობის გაზრდას და ზღვის პროდუქტების იმპორტზე ქვეყნის დამოკიდებულების შემცირებას.

მარაგის შეფასების სრულყოფილად წარმოება ხელს შეუწყობს ქვეყანაში თევზჭერის დარგის მდგრად განვითარებას, ეკონომიკის ზრდას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას. დადგენილი თევზის რესურსის რაოდენობა უზრუნველყოფს თევზის გადამმუშავებელი საწარმოების სრულ დატვირთვას.

საქართველოს ვენახების ეროვნული კადასტრის შექმნა რთველის პროცესის გამარტივებას და ყურძნისეული პროდუქტების ხარისხს უზრუნველყოფს. დღეის მონაცემებით, კახეთის რეგიონში რეგისტრაცია 20.000-მდე მევენახე ფერმერმა გაიარა

ვენახების კადასტრის პროგრამა მიმდინარე წელს დასრულდება კახეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში. მომდევნო წლებში კი, საქართველოს მევენახეობის ყველა რეგიონს მოიცავს.

საქართველო, ვენახების კადასტრის შექმნით, კიდევ ერთ მნიშვნელოვან ევროპულ გამოცდილებას გაიზიარებს და დანერგავს.

ღვინის ეროვნული სააგენტო საქართველოს ვენახების კადასტრის პროგრამას 2014 წლიდან ახორციელებს. საქართველოს ვენახების ეროვნული კადასტრის შექმნა უზრუნველყოფს რთველის პროცესის გამარტივებას და გამჭვირვალედ ჩატარებას, წარმოებული ღვინის და სხვა ყურძნისეული პროდუქტის მიკვლევადობასა და ხარისხის უზრუნველყოფას.

ვენახების კადასტრის პროგრამის ფარგლებში, 2021 წლიდან, ვენახების რეგისტრაცია და კადასტრის ამონაწერით მოსავლის ჩაბარება ყველა მევენახისთვის სავალდებულო გახდა. დღეის მონაცემებით, რეგისტრაცია კახეთის რეგიონში 20.000-მდე მევენახე ფერმერმა გაიარა.

2030 წლისთვის, ღვინისა და სხვა ყურძნისეული ალკოჰოლური სასმელების ექსპორტით ქვეყანა 1 მლრდ დოლარ შემოსავალს მიიღებს

მომდევნო 10 წლის განმავლობაში, ქართული ღვინის სტრატეგიულ საექსპორტო ბაზრებზე მარკეტინგული კამპანიის წარმოება გაძლიერდება და მიმართული იქნება ქართული ღვინის, როგორც კატეგორიის ჩამოყალიბებისა და სტრატეგიულ ბაზრებზე მასშტაბური რეალიზაციის ხელშეწყობისკენ.

საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირების მიზნით, დაგეგმილია ახალი ბაზრების ათვისება: სამხრეთ კორეა, კანადა, სკანდინავიის ქვეყნები და სხვ.

ღვინის კერძო ინდუსტრიასთან კოორდინაციით, 2030 წლისთვის სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი მარკეტინგული ღონისძიებების შედეგად და ქართული ღვინის ხარისხის მდგრადი უზრუნველყოფის საფუძველზე, ღვინისა და სხვა ყურძნისეული ალკოჰოლური სასმელების გაყიდვებით მიღებული შემოსავალი ქვეყნისთვის 1 მლრდ დოლარს მიაღწევს.

ღვინის ეროვნული სააგენტო ბაზრების დივერსიფიცირების მიზნით, ქართული ღვინის პოპულარიზაციას 2012 წლიდან ახორციელებს სტრატეგიულ საექსპორტო ქვეყნებში - ამერიკის შეერთებული შტატები, პოლონეთი, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები, იაპონია და გერმანია. ქართული ღვინო წარმოდგენილი იყო მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო გამოფენასა თუ ფესტივალზე.

2012 წლიდან დღემდე, ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა 1.5 მლნ ლარიდან, 9 მლნ ლარამდე გაიზარდა. შედეგად, 2012 წლიდან დღემდე, დაახლოებით 300%-ით არის გაზრდილი ქართული ღვინის ექსპორტი. 2012 წელს, მსოფლიოს 43 ქვეყანაში ექსპორტირებული ღვინის რაოდენობა შეადგენდა 23 მლნ. ბოთლს, 2020 წლის მონაცემებით კი, საქართველოდან მსოფლიოს 60 ქვეყანაში ექსპორტირებულია 92,4 მლნ ბოთლი ღვინო.

ლევან დავითაშვილი: „მცირე სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, სახნავი ტერიტორიები, რაც საქართველოს დაბლობშია მოქცეული მთლიანად უნდა იყოს მელიორირებული. ეს არის ამბიციური გეგმა, რომელსაც ქვეყანა 2030 წლისთვის აუცილებლად მიაღწევს“

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი სარწყავი ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია/მოდერნიზაციის 10-წლიანი პროგრამით,

2030 წლის ბოლოს, წყალუზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი 227 000 ჰექტარზე მეტი, ხოლო დამშრალი ფართობი - 74 000 ჰექტარზე მეტი იქნება.

„ძირითადი მიმართულება სოფლის მეურნეობის განვითარების, ეს არის საჯარო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. ესეც არის სახელმწიფოს პასუხისმგებლობა. ამ კუთხით განსაკუთრებული შედეგები აქვს ქართული ოცნების ხელისუფლებას.

ფაქტობრივად მიტოვებულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე შეუძლებელი იყო სოფლის მეურნეობის განვითარება, მით უმეტეს თანამედროვე, ორგანიზებული სოფლის მეურნეობის განვითარება, პროდუქტიულობაზე საუბარი და ჩვენ, ინფრასტრუქტურის განვითარებაში ინვესტიციებით, სიტუაცია შევცვალეთ.

2012 წლიდან 2021 წლამდე გასარწყავიანებული ფართობები მნიშვნელოვნად გაიზარდა. საქართველოს გეოგრაფიული მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, დასავლეთ საქართველოში ჭარბტენიანობის პრობლემის გადასაწყვეტად, დრენაჟი აუცილებელია. აქ კიდევ უფრო ამბიციური იქნება ჩვენი მუშაობა; მეტი ყურადღება იქნება სახელმწიფოს მხრიდან გამახვილებული და დრენირებული და წყალუზრუნველყოფილი ფართობი, ჯამში, 300 ათასი ჰექტარამდე გვექნება. ეს არის მაქსიმუმი, რასაც ჩვენი ქვეყნის გეოგრაფია და ტერიტორიები გვაძლევს, სადაც მაღალი ღირებულების პროდუქციის წარმოება უნდა შევძლოთ. დიდი და მცირე კავკასიონი და მთიანი ტერიტორიების გამოკლებით, მცირე სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, სახნავი ტერიტორიები, რაც საქართველოს დაბლობშია მოქცეული მთლიანად უნდა იყოს მელიორირებული. ეს არის ამბიციური გეგმა, რომელსაც ქვეყანა 2030 წლისთვის აუცილებლად მიაღწევს“, - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა.

„ჩვენი მიზანია, შემდეგი 10 წლის პერსპექტივაში თითქმის გავაორმაგოთ დაფარული ფართობები და გამოშვება ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მიხედვით“

„იმისთვის, რომ ამბიციური გეგმები შევასრულოთ, ის ძალისხმევა რასაც სახელმწიფო წევდა 2012 წლიდან-2021 წლის ჩათვლით, კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს. სწორედ ამისთვის, საჭიროა მეტი ფინანსური რესურსების მობილიზება და ამაში ჩვენ გვაქვს სრული მხარდაჭერა საქართველოს პრემიერ-მინისტრის, მთავრობის და პარლამენტის, რათა მეტი რესურსების მობილიზება მოხდეს“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

სოფლის მეურნეობის განვითარების გრძელვადიანი ხედვით, მომდევნო 10 წლის განმავლობაში, აქცენტი გაკეთდება სასოფლო-სამეურნეო მიწების ათვისების სტიმულირებაზე და სასათბურე მეურნეობების შექმნაზე, რაც უზრუნველყოფს ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურებით დაფარული მიწის ფართობების 500 ათას ჰა-მდე ზრდას, უზრუნველყოფილი იქნება 3,7 მლნ ტონამდე წარმოება - ძირითადად, საექსპორტო და იმპორტჩანაცვლების პოტენციალის მქონე კულტურებით, რაც მოიცავს, როგორც სასურსათო პროდუქციას, ასევე, ცხოველთა საკვებწარმოების მიმართულებას.

დღეისათვის, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფო მხარდაჭერით შექმნილი მრავალწლოვანი ხეხილის ნარგაობა და ერთწლოვანი კულტურების ნათესი ფართობი 300 ათასი ჰექტარს აღემატება. მათ შორის, მხოლოდ პროგრამით „დანერგე მომავალი“ ახალი მრავალწლოვანი ხეხილის ბაღი 14 ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე გაშენდა.

გამართული სამელიორაციო ინფრასტრუქტურა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდის გაზრდის და ათვისების ერთ-ერთი მთავარი პირობაა

2012-2020 წლებში, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მიმართულებით 430 მლნ ლარამდე თანხა დაიხარჯა; შედეგად, ქვეყანაში, 200 ათას ჰექტრამდე მელიორირებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობია; წყალუზრუნველყოფილი და დრენირებული ფართობები 3-ჯერ აღემატება 2012 წლის მონაცემებს (2012 წელს წყალუზრუნველყოფილი იყო, დაახლოებით, 45 ათას ჰექტარამდე, დრენირებული ფართობი - 14 ათასი ჰექტარი). დღეისათვის, წყალი მიეწოდება ათეულობით ისეთ სოფელს, სადაც 2-3 ათეული წელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები არ მორწყულა.

მიმდინარე წელს, სახელმწიფოს და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, ქვეყნის მასშტაბით, 80 მლნ ლარზე მეტი ღირებულების სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდება.

ქვეყნაში სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარების პარალელურად, სარწყავ წყალზე მოთხოვნა სულ უფრო მზარდია. აქტუალური ხდება წყლის რაციონალურად განაწილებისა და ეფექტიანად მოხმარების საკითხი, სამელიორაციო მომსახურების არეალის გაზრდა და ბენეფიციართა სამელიორაციო მომსახურების გაუმჯობესება.

ქვეყნის მასშტაბით, წყალსაცავების მშენებლობა/რეაბილიტაცია/ მოდერნიზაციის 10 წლიანი პროგრამის ფარგლებში, შიდა ქართლში დაგეგმილია თეძამის წყალსაცავის მშენებლობა. პროექტის შედეგად, რეგულარულად მოირწყვება 5 000 ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი

გლობალური დათბობისა და კლიმატური პირობების მკვეთრი ცვლილების გამო, წყლის რესურსების სწორად და ეფექტიანად გამოყენება სულ უფრო მეტად აქტუალური ხდება. შესაბამისად, წყალსაცავებისა და საირიგაციო ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობის ხელშეწყობა მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, დაწყებულია კვლევა არსებული და ახლად მოსაწყობი (ჯამში 24 ერთეული) საირიგაციო წყალსაცავების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მოსამზადებლად, მათ შორის, ილტოს წყალსაცავი კახეთში (80 მლნ/მ3), დალის მთის წყალსაცავი დედოფლისწყაროში (140 მლნ/მ3). კვლევის შედეგებიდან გამომდინარე მიღებული იქნება სათანადო გადაწყვეტილება წყალსაცავის მშენებლობასთან დაკავშირებით.

ლევან დავითაშვილი: „საქართველო სრულად იქნება მექანიზირებული და აღჭურვილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით“

„კონკრეტული ფართობების და სიმძლავრეების მიხედვით, გაანალიზებული გვქვს, თუ რა სასოფლო-სამეურნეო მექანიზაცია და დამხმარე იმპლემენტები არის საჭირო. რეგიონებში შეხვედრის დროს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიმართულებით მხარდაჭერის საკითხი აქტიურად ისმის. შესაბამისად, 10 წლის განმავლობაში, სახელმწიფო მოახდენს თანადაფინანსებას და განახორციელებს ინვესტიციას სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციაში, რაც გულისხმობს, რომ საქართველო სრულად იქნება მექანიზირებული და აღჭურვილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

სახელმწიფოს მხრიდან გაგრძელდება და შემუშავდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების მიზნობრივი პროგრამები, რაც გულისხმობს ყველა ტიპის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსებას; 10-წლიანი გეგმის ფარგლებში, დაგეგმილია 1,7 მილიარდი ლარის ინვესტირება, საიდანაც სახელმწიფოს თანამონაწილეობა 700 მლნ ლარია.

დღეის მდგომარეობით, სოფლის განვითარების სააგენტოს საგრანტო პროგრამების ფარგლებში, 900 ბენეფიციარმა შეიძინა ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და იმპლემენტები, თანადაფინანსების თანხამ 28 მლნ ლარზე მეტი შეადგინა.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და იმპლემენტების შესაძენად ჯამში, გაცემულია 124 მლნ ლარზე მეტი ღირებულების ორი ათასზე მეტი სესხი, სააგენტოს გაცემული თანადაფინანსება 12 მლნ ლარს აღემატება.

აუცილებელი მიმართულება, რასაც სამინისტრო სამეცნიერო-კვლევით ცენტრში ნერგავს, არის ხარისხიანი სარგავი და სათესლე მასალის ხელმისაწვდომობა ჩვენი ფერმერებისთვის

„ჩვენ უნდა მოვახერხოთ ცოდნის და თანამედროვე ტექნოლოგიების მიწოდება ჩვენი ფერმერებისთვის; აქ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის როლი არის ძალიან მნიშვნელოვანი. კვლევა, სამეცნიერო შედეგები ფერმერების მხრიდან პრაქტიკაში უნდა იქნეს გამოყენებული. აუცილებელი მიმართულება, რასაც სამინისტრო სამეცნიერო-კვლევით ცენტრში ნერგავს, არის ხარისხიანი სარგავი და სათესლე მასალის ხელმისაწვდომობა ჩვენი ფერმერებისთვის. სერტიფიცირება, მიკვლევადობა და გარანტირებულად ხარისხიანი ნედლეულის გამოყენება იმისთვის, რომ შემდგომში შედეგი იყოს პროგნოზირებადი, ფერმერებმა ფუჭად არ იმუშაონ და ის ძალისხმევა, რომელსაც ჩვენი თანამოქალაქეები გაწევენ იძლეოდეს შედეგებს“, - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა.

საქართველოს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ფარგლებში, თესლი და სარგავი მასალა 2024 წელს სავალდებულო სერტიფიცირებას დაექვემდებარება. ქვეყანაში მეთესლეობის სექტორის განვითარება და ხარისხის კონტროლის ხელშეწყობა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. სათესლე და სარგავი მასალის სერტიფიცირების კარგად ორგანიზებული სისტემა უზრუნველყოფს მომხმარებლებს ხარისხიანი მასალით, რაც მოსავლიანობის და საექსპორტო პოტენციალის გაზრდის, კონკურენტუნარიანობის ამაღლების და ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელოვანი საფუძველია.

გარემოს დაცვა და სოფლის განვითარება 2030

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი 2015 წლიდან საქართველოში სათესლე მასალის სერტიფიცირების სისტემის დანერგვის პროექტს ახორციელებს, რომელსაც 2017 წელს სარგავი მასალის სერტიფიცირება დაემატა. შეიქმნა ეროვნული კატალოგი, რომელიც მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებული ან/და სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე გამოცდილი სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების ჩამონათვალს.

გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში

ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების საკითხების ინტეგრირების პროცესით სახელმწიფომ უმნიშვნელოვანესი მიზნისკენ სვლა დაიწყო. ეს მიზანია განათლებული, სწორი ღირებულებების მქონე მომავალი თაობის აღზრდა, რომელიც შეძლებს გლობალური მასშტაბის გამოწვევებს გაუმკლავდეს, ჩამოყალიბდეს საზოგადოებად, რომლისთვისაც თანაბრად მნიშვნელოვანი იქნება ეკონომიკური განვითარება, გარემოს დაცვა და სოციალური კეთილდღეობა.

გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების ხელშეწყობის მიზნით, პროგრამის „გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში“ ფარგლებში, დაიწყო მასშტაბური პროცესი, რომელიც მოიცავს 50 000 პედაგოგის გადამზადებას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით მომზადებული სახელმძღვანელოს გამოყენებით, ხოლო 500 000 მოსწავლე მიიღებს ბაზისურ ცოდნას ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა მდგრადი განვითარება, ბიომრავალფეროვნების დაცვა, წყლის რესურსების დაცვა, ჰაერის დაცვა დაბინძურებისგან, კლიმატის ცვლილება და ბუნებრივი საფრთხეების შემცირება, ნარჩენების მართვა, მიწის მართვა და გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლა, მდგრადი სოფლის მეურნეობა, სურსათის უვნებლობა და ხარისხი.

აქტიურად მიმდინარეობს და შეუქცევად პროცესად ჩამოყალიბდება პროფესიული სასწავლებლების გაძლიერება

სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტი უწყვეტი განათლების ხელშეწყობაა. აქტიურად მიმდინარეობს და შეუქცევად პროცესად ჩამოყალიბდება პროფესიული სასწავლებლების გაძლიერება; დაწყებულია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და მათი აკრედიტაცია, დარგობრივი პროფესიების პოპულარიზაცია, რაც ხელს შეუწყობს ისეთი დეფიციტური სპეციალისტების მომზადებას, როგორებიცაა მეტყევე-ტაქსატორი, გარემოსდაცვითი მმართველი, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის მცოდნე.

საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში, გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, ფერმერებისთვის თანამედროვე ცოდნასა და ახალ ტექნოლოგიებზე წვდომის უზრუნველყოფის მიზნით, კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები და სემინარები სისტემურ ხასიათს მიიღებს. დამუშავებული სასწავლო კურსი მოიცავს როგორც თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილს, ასევე ითვალისწინებს წარმატების ისტორიების გაცნობა-გაზიარებას. ფერმერთა შესაძლებლობების გაძლიერება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სოფლის მეურნეობის ხარისხიანი პროდუქციის წარმოების ზრდას.

განათლებაზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აღნიშნული მიმართულებით საქართველოში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების მხარდამჭერები არიან: ევროკავშირი, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), კლიმატის მწვანე ფონდი (GCF), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), შვედეთის, შვეიცარიის, ავსტრიის მთავრობები.

„იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობა იყოს კონკურენტუნარიანი, გვქონდეს საექსპორტო ბაზრებზე წვდომა, ჩვენ გვჭირდება ხარისხისა და სურსათის უვნებლობის სტანდარტების დანერგვა“, - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა „გარემოს დაცვა და სოფლის განვითარება 2030“ - გრძელვადიანი ხედვის წარდგენის ღონისძიებაზე

სურსათის ეროვნული სააგენტოს 2030 წლამდე გაწერილი სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში საკანონმდებლო დაახლოების პროცესია.

ბოლო წლებში, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სურსათის ეროვნული სააგენტოს ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერების და საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის მიზნით, რამაც ხელი შეუწყო სამომხმარებლო ბაზარზე კონტროლის გააქტიურებას, წარმოებებში თანამედროვე სტანდარტების დანერგვას, ცხოველთა ჯანმრთელობის და მცენარეთა დაცვის სისტემების ჩამოყალიბებასა და ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდას.

2021-2030 წლებში, სურსათის უვნებლობის მიმართულებით განსაზღვრულია: ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება და უვნებლობის თანამედროვე სისტემების დანერგვა; სახელმწიფო კონტროლის გააქტიურება და კონტროლის სისტემის ეფექტიანობის გაზრდა; ბიზნესსექტორის ცნობიერების ამაღლება; გამჭვირვალობის უზრუნველყოფა; ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის და საექსპორტო პოტენციალის გაზრდის ხელშეწყობა.

ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით დაგეგმილია: ეროვნული კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან ცხოველების იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის, ცხოველთა დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებების, ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაციის და კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით; მონიტორინგისა და დაავადებებზე ზედამხედველობის სისტემის სრულყოფა; არსებული და მოსალოდნელი რისკების საფუძველზე ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პრევენციული და სალიკვიდაციო პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

მცენარეთა დაცვის მიმართულებით გაგრძელდება: ფიტოსანიტარიული სისტემის შესაძლებლობების გაძლიერება; მცენარეთა დაცვის საშუალებების შესახებ არსებული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება; საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების კონტროლის და დიაგნოსტიკის გაძლიერება; ფიტოსანიტარიული მონიტორინგის განხორციელება და ბრძოლის ღონისძიებების დაგეგმვა; მცენარეთა დაცვის ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელებით, ქვეყანაში ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობის შენარჩუნება და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა; ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა; მცენარეთა დაცვის საშუალებების შესახებ არსებული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება.

საქართველოს მასშტაბით, 13 სრულად ფუნქციური, ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტის მქონე სოფლის მეურნეობის ლაბორატორია იმუშავებს

სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია ეროვნული სტანდარტის სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018 შესაბამის აკრედიტაციის სტატუსს ფლობს და დაწერგილი აქვს საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მოთხოვნების შესაბამისი ხარისხის მენეჯმენტის სისტემა.

ლაბორატორიაში ყოველწლიურად მიმდინარეობს ახალი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვლევის მეთოდების შესწავლა, დანერგვა და შემდგომ აკრედიტაცია. უახლოეს 10 წელიწადში, ლაბორატორიაში ამჟამად არსებული კვლევების რაოდენობა 50%-ით გაიზრდება.

მოსახლეობის ინტერესის გათვალისწინებით, უახლოეს პერიოდში, ლაბორატორიის ქსელში, უკვე არსებულ ლაბორატორიებთან ერთად (თბილისი, ქუთაისი, ახალციხე, დუშეთი, გურჯაანი, ოზურგეთი, გორი, მარნეული, ბათუმი, ამბროლაური, ზუგდიდი), დამატებით, ორი ახალი ლაბორატორია (საჩხერე, მესტია) დაიწყებს აქტიურ მუშაობას. საქართველოს მასშტაბით, 13 სრულად ფუნქციური, ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტის მქონე ლაბორატორია იმუშავებს.

ლაბორატორიაში უწყვეტი აკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობს. შესაბამისად, ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ხდება არსებული კვლევის მეთოდების რეაკრედიტაცია. გარდა ამისა, ლაბორატორიის სპეციალისტები ყოველწლიურად წარმატებით გადიან საერთაშორისო საკვალიფიკაციო ტესტირებებს.

მიწის ბალანსის 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენა და გამოქვეყნება 2024 წლის 1 ივლისამდე განხორციელდება

მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო 2020 წლის პირველ იანვარს შეიქმნა. ამ ეტაპზე, უწყების ინსტიტუციური მოწყობა მიმდინარეობს.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში, 2004 წლის შემდეგ, არ განახლებულა მიწის ფონდის მონაცემები. სააგენტოს საქმიანობის ვექტორი ორიენტირებულია მიწის მართვის ევროპულ გამოცდილებაზე, რომელთა შორის ფრანგული მოდელი ერთ-ერთი საუკეთესო და მისაღებია. აქედან გამომდინარე, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, ურთიერთობა დამყარდა საფრანგეთის შესაბამის სტრუქტურებთან.

მიწის ბალანსის 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენა და გამოქვეყნება განხორციელდება 2024 წლის 1 ივლისამდე; პარალელურად, შეიქმნება მიწის შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზა და დაიწყება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების და მათი საკადასტრო მონაცემების რეესტრის, ანუ პასპორტიზაციის პროცესი. ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების ინვენტარიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, განხორციელდება ქარსაფარი ზოლების აღრიცხვა, მისი მდგომარეობის შესწავლა და რეგისტრაცია. აღნიშნული პროგრამის დასრულება გათვალისწინებულია 2025 წლისთვის. მიმდინარე წლის ივლისში საპილოტე პროგრამა დაიწყება თელავის მუნიციპალიტეტში, რაც დაახლოებით 430 ჰა-ს მოიცავს.

სააგენტოს დაწყებული აქვს მუშაობა მიწასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების პაკეტზე, რაც სრულყოფილს გახდის მიწის მდგრადი მართვის პრინციპების განხორციელებას და, შესაბამისად, ხელს შეუწყობს სოფლისა და სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებას.

ჩვენი სამინისტროს ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგი

დარგის განვითარების გრძელვადიანი ხედვა - „გარემოს დაცვა და სოფლის განვითარება 2030“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა პრეზენტაციაზე წარადგინა. მინისტრმა დეტალურად ისაუბრა განვითარების ხედვის მიმართულებებზე.

„ჩვენთვის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი ატმოსფერული ჰაერის გაუმჯობესებაა, სადაც ბოლო წლების განმავლობაში, უდიდესი პროგრესი გვაქვს მიღწეული, მიუხედავად არაერთი გამოწვევისა. ატმოსფერული ჰაერის მართვა და ხედვა კომპლექსურ პოლიტიკას გულისხმობს. ჩვენ დავიწყეთ ამბიციურ გეგმებზე მუშაობა და მივიღეთ ახალი კანონმდებლობა, რომელიც ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრევენციას უზრუნველყოფს. მნიშვნელოვანი მსხვილი 150 საწარმო ვალდებული ხდება, რომ ატმოსფერული ჰაერის დაცვის მიზნით, მუდმივი მონიტორინგი აწარმოოს, რაც მოგვცემს საშუალებას, რომ მსხვილ, ინდუსტრიულ - სამრეწველო ქალაქებში ჩვენ უფრო სუფთა ჰაერი გვქონდეს.

ახალი კანონმდებლობის ფარგლებში, ყველა მსხვილ ურბანულ აგლომერაციაში, ჩვენ გვექნება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის ისეთი გეგმები როგორიც, ბოლო წლებში, გავაკეთეთ ქალაქ თბილისისა და რუსთავისთვის. საქართველოს 10 მსხვილ აგლომერაციაში, შემუშავდება დეტალური ჰაერის ხარისხის მართვის გეგმები, რაც მოიცავს, ბევრ მიმართულებას, მათ შორის ემისიების შემცირებას. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მწვანე სივრცეების მოწყობას, ეკოლოგიური ტრანსპორტის ხელშეწყობას, გამკაცრდება მოთხოვნები საწვავის მიმართ, შეიქმნება მეტი სარეკრეაციო და გამწვანებული სივრცე“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

ბოლო წლებში, თბილისში, რუსთავში, ქუთაისსა და ბათუმში ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ახალი სტანდარტები დაინერგა, სადაც მონიტორინგი ავტომატური სადგურების მეშვეობით უწყვეტად მიმდინარეობს, ხოლო 25 ქალაქში წელიწადში ოთხჯერ ჰაერის ხარისხის ინდიკატორული გაზომვები ტარდება.

გარემოს ეროვნულმა სააგენტომ გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით განახორციელა პროექტი, რომლის ფარგლებში მომზადდა ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელის განვითარების გეგმა (გზამკვლევი), რომელშიც აღწერილია სამომავლო ნაბიჯები ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელის გასაუმჯობესებლად, მათ შორის, ქვეყნის მასშტაბით, ახალი სადგურების რაოდენობისა და განთავსების ადგილების იდენტიფიცირების შესახებ.

მთავრობა შეიმუშავებს და განახორციელებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების 10-ზე მეტ კომპლექსურ გეგმას ქვეყნის იმ ქალაქებისთვის, სადაც ჰაერის დაბინძურების პრობლემა აქტუალურია;

შედეგად, ქვეყნის ურბანულ ცენტრებში:

- შეიქმნება უფრო მეტი სარეკრეაციო და გამწვანებული სივრცე;
- განვითარდება სუფთა საზოგადოებრივი ტრანსპორტი;
- გამკაცრდება ტრანსპორტიდან გაფრქვევის სტანდარტები და გაუმჯობესდება საწვავის ხარისხი;
- თბილისსა და რუსთავს შორის მდებარე კრწანისის ტყე-პარკი სრულად კეთილმოეწყობა; ტერიტორიაზე ჩამოყალიბდება სამხრეთ კავკასიის ეკოსისტემების კვლევისა და აღდგენის ცენტრი და გარემოსდაცვითი განათლების საზოგადოებრივი საჯარო სივრცე;

სამრეწველო სექტორიდან ჰაერის დაბინძურების შემცირების მიზნით:

- დაინერგება პარლამენტის მიერ მიღებული ახალი მოთხოვნები მრეწველობის სექტორში ჰაერდაცვითი სტანდარტების გასაუმჯობესებლად;
- განხორციელდება მსხვილი დამაბინძურებელი საწარმოების კომპლექსური შემოწმებები, მინიმუმ წელიწადში ერთხელ;
- 2030 წლისთვის, ქვეყნის 200 უმსხვილესი საწარმო დანერგავს გარემოსდაცვითი თვალსაზრისით საუკეთესო ევროპულ ტექნოლოგიებს ჰაერის, წყლის, ნიადაგის დაბინძურების შესამცირებლად.

დაგეგმილია ბუნებრივი საფრთხეების მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება

სტიქიური გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების იდენტიფიცირება და ადრეული გაფრთხილების და მონიტორინგის ეფექტიანი სისტემების შექმნისთვის, დაგეგმილია არსებული მონიტორინგის ქსელის გაფართოება, რისთვისაც დამონტაჟდება ახალი ავტომატური მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური და გეოლოგიური სადგურები; დამატებით მომზადდება გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური საფრთხეების ზონირების რუკები, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების ბუნებრივი საფრთხეებისგან მაქსიმალურ დაცვას და უზრუნველყოფს ქვეყანაში სტიქიური მოვლენებით გამოწვეული შესაძლო უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება/შერბილებას.

„გარემოს მდგომარეობის მონიტორინგის გაუმჯობესება აუცილებელია იმისთვის, რომ გარემოს ხარისხიან დაცვაზე ვსაუბრობდეთ. ამისთვის, ყოველდღიურად ძლიერდება გარემოს დაცვის შესაძლებლობები. განხორციელდება 27 ავტომატური სადგურის დამონტაჟება, ეს ნიშნავს რომ ჰაერის ხარისხზე გვექნება სრული ინფორმაცია და მუდმივი მონიტორინგი. 200 ლოკაციაზე გვექნება წყლის ხარისხის მონიტორინგი. ნიადაგის დაბინძურებაზე მონიტორინგი გვექნება 70-მდე ლოკაციაზე. დამონტაჟდება ახალი მეტეოროლოგიური სადგურები და ახალი რადარები იმისთვის, რომ გვქონდეს ზუსტი მეტეოროლოგიური ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ეკონომიკური სექტორისთვის, მათ შორის სოფლის მეურნეობისთვის და ჩვენი ფერმერებისთვის. გაიზრდება მიწისქვეშა წყლებზე დაკვირვება. ყველა ეს მონაცემი გადამუშავდება იმისთვის, რომ ჩვენ გვქონდეს უკეთესი და ხარისხიანი პოლიტიკა და მართვის სისტემები.

საქართველოს მასშტაბით, 200 საწარმო დანერგავს ახალ ტექნოლოგიებს, რათა მათი ზემოქმედება წყალზე, ჰაერზე და ნიადაგზე შემცირდეს და იყოს მინიმალური. ეს არის ჩვენი პირობა ევროკავშირთან ასოცირების ფარგლებში“, - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა.

2021-2023 წლებში, საქართველოში 91 „საქმიანი ეზო“ მოეწყობა

„სატყეო სექტორის რეფორმა არის ძალიან კომპლექსური. საქართველომ უკვე მიიღო ახალი ტყის კოდექსი და შექმნა ტყის მართვის ახლებური პოლიტიკა. რა თქმა უნდა, ამას სჭირდება განხორციელება. ჩვენ ინტენსიურად დავიწყეთ ახალი პოლიტიკის გატარება და ინვესტირება სატყეო სექტორის განსავითარებლად. შესაბამისად, 2021-2023 წლამდე, საქართველოში 91 „საქმიანი ეზო“ უნდა მოეწყოს. ეს გულისხმობს იმას, რომ 2023 წლისთვის სოციალური ჭრა, მოსახლეობის ტყეში შესვლა მერქნის მოპოვების მიზნით, რაც უამრავ პრობლემასთან, რისკთან, მათ შორის ჯანმრთელობასთან, არის დაკავშირებული, აღარ იქნება. ჩვენ თითოეულ მუნიციპალიტეტში, შემდგომი გადამუშავების მიზნით, მერქნული მასალა უნდა მივაწოდოთ როგორც კერძო სექტორს, ბიზნესსექტორს, ისე ჩვენს მოსახლეობას. ასევე, ჩნდება პირდაპირი წვდომა ნარჩენზე, რომელიც არის უნიკალური ბიომასა ალტერნატიული საწვავის გამოყენების კუთხით, როგორც მინიმუმ, მაგრამ სხვა მიზნებისთვისაც მას დიდი გამოყენების საშუალება აქვს. საქართველოში, იქ სადაც გვაქვს შეზღუდული სასოფლო-სამეურნეო სავარგული და სოფლის მეურნეობის შეზღუდული რესურსი, ზუსტად იქ გვაქვს მდიდარი ტყის რესურსი, რომელიც ასევე მდიდარია არამერქნული რესურსითაც. არამერქნული რესურსების გამოყენება, ტყეში ეკოინფრასტრუქტურის განვითარება და ეკოტურისტული ბიზნესის განვითარება არის ალტერნატიული შემოსავლები სატყეო სააგენტოსთვის და ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი წვლილი ჩვენი ეკონომიკის განვითარებისთვის. უკვე დავიწყეთ ინტენსიურად „საქმიანი ეზოების“ მოწყობა, ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა, მაგრამ 30 წლისთვის სრულად მოვახდენთ მოსახლეობისთვის მერქნული რესურსებით მომარაგებას ფაქტობრივად მათ საცხოვრებელ არეალთან ძალიან ახლოს“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

ტყის ახალი კოდექსის და სატყეო სექტორის რეფორმის მნიშვნელოვან სიახლეს მერქნული რესურსით ორგანიზებული სარგებლობა წარმოადგენს.

მერქნული რესურსით სარგებლობის სწორი განვითარება, რაც მოიცავს ხე-ტყის დამზადებასა და მასთან დაკავშირებულ დამატებით ღირებულებებს, როგორიცაა ხე-ტყის ნარჩენით ბიომასისა თუ სხვა პროდუქტების წარმოება, ასევე, ხე-ტყის მეორადი გადამუშავება, მნიშვნელოვანად შეუწყობს ხელს მერქნის ლეგალური ბაზრის ჩამოყალიბებას, ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

სოციალური ჭრები, რაც გულისხმობდა მოსახლეობის მიერ შეშის საკუთარი ძალებით დამზადებას, ეტაპობრივად გაუქმდება. ეროვნული სატყეო სააგენტო ორგანიზებულად განახორციელებს ხე-ტყის დამზადებას, დახარისხებასა და დასაწყობებას „საქმიან ეზოებში“, ქვეყნის მასშტაბით უკვე მოეწყო 26 „საქმიანი ეზო“, რასაც წლის ბოლომდე კიდევ ათი დაემატება.

„საქმიანი ეზოებიდან“ მოსახლეობის მიერ საშეშე მერქნის შეძენაზე სრულად გადასვლა 2023 წლიდან იგეგმება. სააგენტო მუშაობს ახალი სერვისების დანერგვაზე, რაც საშუალებას მისცემს მოსახლეობას, გამარტივებულად შეიძინოს შეშა და ისარგებლოს ტრანსპორტირების მომსახურებით.

2030 წლამდე, წინასწარ გამოვლენილ 1,500 ჰა-ზე ტყის გაშენებისა და აღდგენის ღონისძიებები განხორციელდება

საქართველოს მიერ „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი“ გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი, ითვალისწინებს, 2030 წლამდე, წინასწარ გამოვლენილ 1,500 ჰა-ზე ტყის გაშენებისა და აღდგენის ღონისძიებების განხორციელებას; აგრეთვე, 7,500 ჰა ტყის ფართობზე ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას, რათა მოხდეს ბუნებრივი ტყის საფარის აღდგენა.

შესაბამისად, ეროვნული სატყეო სააგენტოს გეგმაა, ყოველწლიურად, 150 ჰა ტყის გაშენება და ბუნებრივი ტყის საფარის აღდგენის ხელშეწყობა.

ტყის აღდგენის ღონისძიებები ხორციელდება მთელი საქართველოს მასშტაბით; ეწყობა ტყის დროებითი სანერგეები, ხორციელდება ტყის გაშენება, ტარდება ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ღონისძიებები, იქმნება სწრაფმზარდი მცენარეების (აკაცია) პლანტაციები.

2013 წლიდან დღემდე, დროებითი სანერგეები მოწყობილია 6.4 ჰა ფართობზე, ტყის აღდგენა-გაშენება განხორციელდა 590.27 ჰა-ზე, ტყის აღდგენილი და გაშენებული ფართობების მოვლა განხორციელდა 833.41 ჰა-ზე.

ბოლო წლების განმავლობაში, ტყის აღდგენის მხრივ ყველაზე სენსიტიურ ბორჯომის ხეობაში 2008-2017 წლებში ნახანძრალი ტერიტორიაა. 2018-2020 წლებში ტყის აღდგენის კომპლექსური ღონისძიებები განხორციელდა 314 ჰა ფართობზე, ამით სრულად იქნა მოცული პრიორიტეტული მონაკვეთები.

ლევან დავითაშვილი: „ნარჩენების მართვას, საზოგადოების ჩართულობასთან ერთად, სახელმწიფოს მხრიდან სწორი პოლიტიკა სჭირდება“

ნარჩენების მართვას, საზოგადოების ჩართულობასთან ერთად, სახელმწიფოს მხრიდან სწორი პოლიტიკა სჭირდება. სწორი პოლიტიკა გულისხმობს ნარჩენების მართვის კუთხით ახლებურ მიდგომას - ნარჩენების მართვა უნდა იყოს ეკონომიკის ნაწილი. როცა ვსაუბრობთ ეკონომიკის განვითარებაზე, აქ მნიშვნელოვანია მწვანე და ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების დანერგვა. ეს გულისხმობს იმას, რომ პრევენციის მიზნით, 2030 წლისთვის, რიგი ნარჩენების შემცირებისთვის, მუნიციპალიტეტების დონეზე სეპარირების სრულად დანერგვა უნდა მოხდეს.

ასევე მნიშვნელოვანია, დამაბინძურებელი ნარჩენების წარმომქმნელი კომპანიებისთვის წარმოებას გაფართოებული ვალდებულების გაჩენა, ანუ, მნიშვნელოვანი ხდება კერძო სექტორის ჩართულობა, რომ მათ მიერ წარმოებული ნარჩენი, ნედლეული გახდეს. ქვეყანამ, 30 წლის განმავლობაში, ცირკულარულობის გზით, ძირითადი ნარჩენების მართვას უნდა მიაღწიოს.

ლევან დავითაშვილი: „კლიმატის ცვლილების შერბილებისთვის, ეკონომიკაში უნდა გამოვიყენოთ მეტი თანამედროვე, უფრო გონივრული ტექნოლოგია“

„21-ე საუკუნის მთავარ გამოწვევად, ბევრ სხვა გამოწვევასთან ერთად, კლიმატის ცვლილება რჩება. კლიმატის ცვლილების შერბილება არის თითოეული ქვეყნის ვალდებულება. საქართველო პარიზის შეთანხმების მონაწილეა. ჩვენმა ქვეყანამ უკვე დაამტკიცა ამბიციური ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტი, კლიმატის ცვლილების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ევროკავშირის ქვეყნები თანხმდებიან, რომ მათ აქვთ აღებული მაქსიმალური პასუხისმგებლობა კლიმატის ცვლილების შერბილების კუთხით. ჩვენ განვაცხადეთ, რომ 2024 წლისთვის ჩვენ ვაპირებთ ევროკავშირში განაცხადის გაკეთებას, შესაბამისად, საქართველოც იზიარებს ამ პასუხისგებლობას, რომლის ნაწილია, რომ 2030 წლისთვის, ჩვენ 35% უპირობოდ უნდა შევამციროთ სათბურ აირების ემისია. თუმცა, საქართველო მზად არის და ევროპელ პარტნიორებთან ერთად მუშაობს იმაზე, რომ ჩვენ შევუერთდეთ მწვანე შეთანხმებას და გავხდეთ კარბონეიტრალური ქვეყანა. თუმცა, რა თქმა უნდა, ამასთან დაკავშირებით, ჩვენ დონორებთან ერთად გვექნება ბევრი სამუშაო.

საბოლოოდ, როცა კლიმატის ცვლილებაზე ვსაუბრობთ, ითვალისწინებს იმას, რომ ჩვენ ეკონომიკაში უნდა გამოვიყენოთ მეტი თანამედროვე, უფრო გონივრული ტექნოლოგია. 7 დარგის მიხედვით, განსაზღვრულია თანამედროვე გონივრული ტექნოლოგიების დანერგვა, რათა ეკონომიკური განვითარება იყოს მდგრადი, კლიმატის ცვლილებაზე ზემოქმედება იყოს მინიმალური. სატყეო სექტორის განვითარებით, ალტერნატიული ენერგიების გამოყენებით ჩვენ უნდა მოვახერხოთ კლიმატის ცვლილების შერბილება, რაც უმნიშვნელოვანესი ამოცანაა“, - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა.

ლევან დავითაშვილი: „დაცული ტერიტორიების მართვა და გაფართოება ჩვენი ხელისუფლების პრიორიტეტია; ეს არის უნიკალური ტერიტორიები, სადაც წარმოდგენილია განსაკუთრებული ბიომრავალფეროვნება და მათი დაცვა უნდა მოხდეს დაცული ტერიტორიების ფარგლებში“

2012-2021 წლებში, საქართველოში დაცული ტერიტორიების ფართობი რეკორდულად 293 476 ჰა-ით გაიზარდა და დღეისათვის, 798 287 ჰა-ს შეადგენს, რაც ქვეყნის ტერიტორიის 11.5%-ია. შემუშავებული გეგმის თანახმად, 2030 წლამდე, დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტრამდე გაიზრდება და ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის 17%-ს მიაღწევს.

აღნიშნულის პარალელურად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სხვა შესაბამის უწყებებთან ერთად, აქტიურად მუშაობს, რომ საქართველოს 4 დაცულ ტერიტორიას: კოლხეთისა და მტირალას ეროვნულ პარკებსა და კინტრიშისა და ქობულეთის დაცულ ტერიტორიებს, იუნესკოს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭოს, რაც უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო აღიარება იქნება და საქართველოს დაცული ტერიტორიების ცნობადობას გაზრდის.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს სამომავლო გეგმის ნაწილია ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი ბაზის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს დაცული ტერიტორიების ძირითადი სახეობებისა და ჰაბიტატების ეფექტიან შესწავლას და აღდგენის ღონისძიებების დაგეგმვას.

დაგეგმილია, ეტაპობრივად განხორციელდეს დაცულ ტერიტორიებზე ტყეების ინვენტარიზაცია და მომზადდეს ტყის მართვის გეგმები, რათა მოხდეს ტყის რესურსების მდგრადი მართვა და, საჭიროების შემთხვევაში, აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება.

საუკეთესო გამოცდილების გაზიარებით საქართველოს დაცული ტერიტორიების დაცვისა და შენარჩუნებისთვის, დაგეგმილია რეინჯერების გადამზადება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; რეინჯერები აღიჭურვებიან ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით და თანამედროვე სმარტტექნოლოგიებით, რომელთა დანერგვაც უკვე მიმდინარეობს; 2030 წლამდე, დაგეგმილია რეინჯერთა რაოდენობის 50%-ით გაზრდა.

საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობა 5-ჯერ გაიზრდება

ბოლო წლების განმავლობაში, დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის 28 000 000 ლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა; გაიხსნა ახალი ეკოტურისტული ობიექტები; საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ განხორციელებული მარტვილის კანიონის განვითარების პროექტი ევროსაბჭოს ლანდშაფტების კონვენციის კონკურსის გამარჯვებული გახდა; დაინერგა და განვითარდა ახალი ეკოტურისტული მიმართულებები და სერვისები, შედეგად, 2019 წელს, ვიზიტორთა რაოდენობამ რეკორდულ, 1.2 მილიონ ვიზიტორს მიაღწია, ეკოტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა კი 11.5 მილიონი ლარი შეადგინა.

„დაცული ტერიტორიები არ ნიშნავს მხოლოდ კონსერვაციას; დაცული ტერიტორიები ნიშნავს ეკონომიკურ შესაძლებლობებს დაცული ტერიტორიების მახლობლად მცხოვრები ჩვენი მოქალაქეებისთვის. კვლევებმა აჩვენა, რომ მხოლოდ 5 დაცული ტერიტორიის მიხედვით, 2017 წელს, შემოსავალი დაცული ტერიტორიების მახლობლად მცხოვრები მოსახლეობისთვის 90 მილიონი ლარი იყო. შესაბამისად, დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა 5-ჯერ გაზრდილი მაჩვენებელი, ამ 5 ტერიტორიის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის შემოსავალსაც 5-ჯერ გაზრდის. ეს ნიშნავს, დაახლოებით, 700-800 მილიონ ლარს. აუცილებლად უნდა აღინიშნოს დონორული მხარდაჭერაც, რომლის წვლილი ძალიან დიდია ჩვენი დაცული ტერიტორიების განვითარებაში. ესაა ტერიტორიები, სადაც ნაკლები სასოფლო-სამეურნეო შესაძლებლობები გვაქვს, მაგრამ გვაქვს უნიკალური ბუნება, რომელიც უნდა შევინარჩუნოთ“, - აღნიშნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა „გარემოს დაცვა და სოფლის განვითარება 2030“ - გრძელვადიანი ხედვის წარდგენის ღონისძიებაზე.

მომავალ წლებში, დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების ბიუჯეტი, დაახლოებით, 212 000 000 ლარს შეადგენს, საიდანაც, 49 000 000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებია. ახალი პროექტების განხორციელება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, ვიზიტორების დაინტერესებას და მოზიდვას; შესაბამისად, დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა საპროგნოზო მაჩვენებელი 5-ჯერ გაიზრდება და 8 მილიონს, ეკოტურიზმიდან მიღებული შემოსავალი კი 58 მილიონ ლარს მიაღწევს.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის, საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე განხორციელებული კერძო ინვესტიციების მოცულობა 142 მილიონ ლარია. არსებული პროგნოზით, 2030 წლამდე, ინვესტიციები მინიმუმ 3-ჯერ გაიზრდება და 429 მილიონ ლარს მიაღწევს.

ველური ბუნების ეროვნული სააგენტო მუშაობს კანონზე „ნადირობისა და სანადირო სახეობათა მართვის შესახებ“, რომლის ამოქმედების შემდეგ, ქვეყნის მასშტაბით განხორციელდება მონადირეთა სერტიფიცირება, რაც ბრაკონიერობის შემცირებას შეუწყობს ხელს

სააგენტო ფლორისა და ფაუნის, კავკასიის ენდემური და იშვიათი სახეობების გამრავლებისა და პოპულაციის აღდგენის მიმართულებით აქტიურ მუშაობას აგრძელებს. სააგენტოს სამომავლო გეგმაა, ფაუნის ენდემურ სახეობათა გენეტიკური კოდის დადგენა და მარკირების სისტემის შემოღება, რაც მონიტორინგის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

გარდა ამისა, სააგენტოში მდინარეების დათევზიანებისთვის მდინარის კალმახის ლიფსიტების წარმოება, წლიურ 1 მლნ ცალამდე გაიზრდება.

ასევე, ყოველწლიურად, 5 000 ფრთაზე მეტი კოლხური ხოხბის, კაკბის, გნოლისა და სხვა სახეობათა გამრავლება განხორციელდება ბუნებაში გაშვებისა და სამონადირეო მეურნეობებისთვის მიწოდებისთვის. სააგენტო, ველურ ბუნებაში აღდგენის მიზნით, წლიურად, ჭალის ტყისა და „წითელი ნუსხის“ არანაკლებ 200 000 ნერგს გამოიყვანს.

კრწანისის ტყე-პარკში სამხრეთ კავკასიის ეკოსისტემების კვლევისა და აღდგენის ცენტრი შეიქმნება

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ველური ბუნების ეროვნული სააგენტო აქტიურად მუშაობს კრწანისის ტყე-პარკის განვითარების გეგმაზე. გეგმის განხორციელების შედეგად, ტყე-პარკში სამხრეთ კავკასიის ეკოსისტემების კვლევისა და აღდგენის ცენტრი შეიქმნება.

ტყე-პარკში დაგეგმილია მტკვრის სახეობათა თევზსაშენის მშენებლობა, დამშრალი 7 ტბორის აღდგენა/დათევზიანება და 50-მდე საპიკნიკე ლოკაციის მოწყობა.

ველური ბუნების სააგენტოს მიერ მასშტაბური სამუშაოების განხორციელების შემდეგ, პარკი თავის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას დაიბრუნებს. ტყე-პარკი რეკრეაციული სივრცეა თბილისსა და რუსთავს შორის. პარკში გადაადგილება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ფეხით, ველოსიპედით ან მინი ელექტროავტომობილით.

ლევან დავითაშვილი: „გარემოსდაცვითი მართვა ზედამხედველობის ეფექტიან გამოყენებასა და ადმინისტრირებას გულისხმობს. ჩვენ გვექნება გარემოზე ზემოქმედების შეფასების უფრო ეფექტიანი სისტემა, რაც მოსახლეობის აქტიურ ჩართულობას უზრუნველყოფს“

„საქართველოს პარლამენტში, მთავრობის დამტკიცების დროს, ჩვენ განვაცხადეთ რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა არის ქვეყანაში ბრაკონიერობის აღმოფხვრა. მნიშვნელოვანი სამუშაო გვექნება ამ კუთხით პოლიტიკის შემუშავებისთვის, რათა პოლიტიკა იყოს უფრო ადეკვატური, კანონმდებლობას უნდა ჰქონდეს შემაკავებელი ეფექტი, იმისთვის, რომ ჩვენ აღმოვფხვრათ ბრაკონიერობა - ხე-ტყის უკანონო ჭრა, უკანონო ნადირობისა თუ თევზაობის ფაქტები. საჭიროა გარემოსდაცვითი შესაძლებლობების განვითარება, მათ შორის, მაღალი ტექნოლოგიების გამოყენება.

გარემოსდაცვითი მართვა ზედამხედველობის ეფექტიან გამოყენებასა და ადმინისტრირებას გულისხმობს. ჩვენ გვექნება გარემოზე ზემოქმედების შეფასების უფრო ეფექტიანი სისტემა, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის აქტიურ ჩართულობას. ჩვენ დავინახეთ რაოდენ აქტუალურია ეს მსხვილი ინფრასტრუქტურული თუ ენერგეტიკული პროექტების განხორციელების დროს, როდესაც მოსახლეობის მეტი ჩართულობა, გამჭვირვალობა, მიკვლევადობა, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა არის საჭირო. ამას ჩვენ ახალი ელექტრონული პლატფორმის საშუალებით უზრუნველვყობთ.

მოხდება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაძლებლობების განვითარება. 2012 წლამდე, ქვეყანაში გაუქმებული იყო გარემოსდაცვითი მიმართულებით მაკონტროლებელი უწყება. 2013 წელს, შეიქმნა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი და 32-მა ეკიპაჟმა დაიწყო საქართველოს მასშტაბით 24 საათიანი პატრულირება. გასული წლების განმავლობაში, ეტაპობრივად, მოხდა დეპარტამენტის ადამიანური და ტექნიკური რესურსების გაძლიერება, დაინერგა თანამედროვე სისტემები, მოხდა თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება და 2021 წლის მდგომარეობით, გასამმაგებული რაოდენობის - 103 ეკიპაჟით ფარავს ქვეყნის ყველა მუნიციპალიტეტს“, - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა.

მომავალ წლებში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში დაგეგმილია თანამედროვე ელექტრონული მექანიზმების განვითარება და სრულყოფა. სათანადოდ აღიჭურვება საწვავის ხარისხის კვლევის ლაბორატორია, შემუშავდება საწვავის ხარისხის ნორმებთან შესაბამისობის კონტროლის სახელმძღვანელოები, განვითარდება დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან გარემოში მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევების უწყვეტი თვითმონიტორინგის ელექტრონული სისტემა, შეიქმნება შიდა წყალსატევებში სამრეწველო თევზჭერის თვითმონიტორინგისა და ანგარიშგების ელექტრონული ონლაინ სისტემა; დონორების მხარდაჭერით, დაინერგება ინოვაციური ტექნოლოგიები, ე.წ. „ცხელი წერტილები“ გაკონტროლდება სამეთვალყურეო კამერებით, ახალი თაობის დრონების გამოყენებით, განხორციელდება ტყის მიმართულებით მომუშავე თანამშრომელთა უწყვეტი სწავლებები. დაინტერესებულ უწყებებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფილი იქნება მიკვლევადობა და კონტროლი ხე-ტყის დამზადების, ტრანსპორტირების, ხე-ტყის გადამუშავებისა და რეალიზაციის ეტაპებზე.

დაგეგმილი ღონისძიებების მიზანი საწვავის ხარისხის კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის უწყვეტი კონტროლი, ორგანიზებულ გაფრქვევებზე კონტროლი, გარემოს დაბინძურების ფაქტების დროული გამოვლენა და აღკვეთა, აკვაკულტურის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა და კონტროლი, ასევე - ტყეზე ზედამხედველობის, ბრაკონიერობის პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ღონისძიებების ეფექტიანობის გაუმჯობესებაა.

გაიზრდება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ფუნქცია-მოვალეობები; უწყების საქმიანობას დაემატება საგამოძიებო კომპონენტი, რაც უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი სამართალდარღვევების საქმეების მეტად ეფექტიან და ოპერატიულ გამოძიებას.

დაგეგმილი ღონისძიებების მიზანი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემის გამართული ფუნქციონირება, ზიანის პრევენცია, შესაბამისი ღონისძიებებით გარემოს აღდგენა, გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ეფექტიანად აღსრულება, მათ შორის, გარემოში სამრეწველო ემისიებისა და ნარჩენების შემცირება, ტყის, აკვაკულტურის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა და ბიომრავალფეროვნებაზე ზეწოლის შემცირებაა.



ინტერვიუ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ოთარ შამუგიასთან

- 10 წლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ძალიან ამბიციურ ღონისძიებებს ითვალისწინებს, მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა ფართო საზოგადოებას წარუდგინა. ღონისძიებებს შორის, რა თქმა უნდა, არის ქართული ღვინის წარმოება-რეალიზაციის მიმართულება, რომელიც თქვენი, როგორც მინისტრის მოადგილის საკურატოროა. სამოქმედო გეგმის მიხედვით, რა ღონისძიებები აქვს დაგეგმილი სამინისტროს და რა შედეგს ელოდება?

ღვინის წარმოება-რეალიზაციის ხელშეწყობა ჩვენი სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. მიზანი, რომელიც 2030 წლისთვის გვაქვს დასახული, ღვინის ექსპორტის ღირებულების 1 მლრ დოლარამდე გაზრდაა.

რთველის ორგანიზებულად წარმართვა, ქართული ღვინის საერთაშორისო ბაზრებზე პოპულარიზაცია, ღვინის ხარისხზე ზრუნვა მთავარი აქტივობებია და, შესაბამისად, ჩვენ კონკრეტულ ნაბიჯებს ვდგამთ.

წლევანდელი რთველისთვის, პარლამენტში წარდგენილია 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შესახებ კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს რთველის მიმართულებით დამატებით 100 მლნ ლარის გამოყოფას. აღნიშნული ბიუჯეტის დაამტკიცების შემთხვევაში, წელს უპრეცედენტოდ მაღალი იქნება გამოყოფილი თანხა.

რთველის მიმართულებით გვაქვს რამდენიმე სიახლე. ერთი, ეს არის ვენახების კადასტრი. 2021 წლიდან, რთველის დროს, ვენახების საკადასტრო ამონაწერის გარეშე, მევენახე ღვინის საწარმოს ყურძენს ვერ ჩააბარებს. ვენახების რეგისტრაცია და კადასტრის ამონაწერით მოსავლის ჩაბარება ყველა მევენახისთვის სავალდებულო გახდა. წელს აქტიურად დავიწყეთ და გვინდა, რომ მთელი კახეთი და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონი მოვიცვათ. გადავამზადეთ თანამშრომლები, რომ მეტი ადამიანური რესურსით რთველის დაწყებამდე პროცესი მივიყვანოთ ბოლომდე. ძალიან მნიშვნელოვანია, გვქონდეს ზუსტი ინფორმაცია თითოეული მევენახის შესახებ - რა ფართობებს ფლობენ, რა ჯიშის ყურძენი მოჰყავთ და რა რაოდენობის მოსავალს შეიძლება ველოდოთ მომავალ წლებში.

რაც შეეხება სუბსიდიას, ამჯერად ვიკვლევთ ბაზარს, რა მოთხოვნებია კერძო სექტორის მხრიდან, რა შესყიდვები შეიძლება მათ განახორციელონ ყურძნის გადამუშავებისთვის და ღვინის წარმოებისთვის. აქედან გამომდინარე, ვიმსჯელებთ, რთველის ფარგლებში, რა სახის სუბსიდირება შეიძლება გვქონდეს. იმ შემთხვევაში, როდესაც კარგი ხარისხის ყურძენია ბაზარზე და კერძო სექტორი არ ან ვერ იბარებს, ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, რომ არცერთი კილოგრამი ყურძენი არ დარჩეს დაუბინავებელი. სწორედ ამას ახორციელებს სახელმწიფო კომპანია ყოველწლიურად და ეს გვიწევს მაშინ, როდესაც კერძო სექტორის მხრიდან ყურძნის ჩაბარება ვერ ხორციელდება საბაზრო პრინციპებიდან გამომდინარე. ამ დროს სახელმწიფო ყიდულობს ყურძენს, ვახდენთ გადამუშავებას და აუქციონის წესით სპირტის სახით რეალიზაციას.

რაც შეეხება ქართული ღვინის პოპულარიზაციას, აღსანიშნავია, რომ პრიორიტეტულ ბაზრებზე, მათ შორის, აშშ-ში, ჩინეთში, ბრიტანეთში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში და ა.შ. ძალიან აქტიურ მარკეტინგულ კამპანიას ვახორციელებთ, რათა ხელი შევუწყოთ ღვინის ექსპორტის და ზოგადად, ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდას. დაახლოებით, 8.5 მლნ ლარი დაიხარჯება წელს პოპულარიზაციის პროგრამის ფარგლებში. ჩვენ, კანონში ცვლილებებით, დამატებითი თანხები გვაქვს მოთხოვნილი ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიმართულებით და ეს თანხები მიმართული იქნება ახალი პროექტისთვის, რომლის დამუშავებაც ამჟამად მიმდინარეობს. ახალი პროექტის ფარგლებში, ჩვენი გვინდა, თანადაფინანსების პრინციპით დავეხმაროთ მეღვინეებს, რომ უფრო აქტიური კამპანია აწარმოონ იმ ბაზრებზე, რომელიც ამ პროექტით იქნება გათვალისწინებული და ნაწილობრივ დავუფინანსოთ მარკეტინგის ხარჯებიც, რაც ღვინის ექსპორტის ზრდისკენ იქნება მიმართული.

- გამართული სამელიორაციო ინფრასტრუქტურა სასოფლო-სამეურნეო მიწების ათვისებისა და აგრარული წარმოებისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. რა გაკეთდა და რა გეგმები არსებობს ამ მიმართულებით?

ბოლო წლების განმავლობაში, დაახლოებით, 450 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა მელიორაციის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის, როგორც საბიუჯეტო დაფინანსებით, ისე დონორი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით. განვახორციელეთ სარწყავი სისტემების, სათავე ნაგებობებისა და ძირითადი მაგისტრალების რეაბილიტაცია. ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ვინაიდან, საბიუჯეტო დაფინანსება საკმარისი არ არის, აქტიურად ვთანამშრომლობთ დონორებთან. წელს, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, დაახლოებით, 80 მლნ ლარი ღირებულების პროექტი ხორციელდება ქვემო სამგორისა და ზედა რუს სარწყავ სისტემებზე, რაც გულისხმობს შიდა ქსელების რეაბილიტაციას. ეს ნიშნავს, რომ ფერმერებს საკუთარ ბაღებსა და ნაკვეთებზე ექნებათ თანამედროვე სისტემით წყლით სარგებლობის საშუალება. ვთანამშრომლობთ აზიის განვითარებისა და ევროპის საინვესტიციო ბანკებთან, საფრანგეთის განვითარების სააგენტოსთან; ფინანსთა სამინისტროსთან ერთად რამდენიმე პროექტზე ვმუშაობთ. გვსურს, მოვიზიდოთ დონორი ორგანიზაციები და ჩავატაროთ ზემო სამგორის, ქვემო სამგორისა და ტბილისი-კუმისის სარწყავი სისტემების რეაბილიტაცია. აღნიშნული სისტემები ათასობით ჰექტარი სავარგულების მორწყვას უზრუნველყოფს.

მოგეხსენებათ, რომ სარწყავი წყლით უზრუნველყოფის გარეშე სოფლის მეურნეობის განვითარება შეუძლებელია. ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია, რაც შეიძლება მეტი თანხები მოვიძიოთ ამ მიმართულებით და შევძლოთ სწრაფი ტემპებით სამელიორაციო სისტემების აღდგენა.

დღეის მდგომარეობით, წყალუზრუნველყოფილი გვაქვს 170 000 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი, სადრენაჟე მომსახურება 45 000 ჰექტარზე ხორციელდება. ჩვენი გეგმაა, რომ 2030 წლისთვის, წყალუზრუნველყოფილი ფართობის რაოდენობა 230 000 ჰექტარამდე, ხოლო დრენირებული 75 000 ჰექტარამდე გაიზარდოს.

მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, შევიმუშავეთ და დავამტკიცეთ ირიგაციის სტრატეგია, გვაქვს შესაბამისი სამოქმედო გეგმა. დონორ ორგანიზაციებთან გვაქვს მოლაპარაკება, რომ მივიღოთ მხარდაჭერა და დრენაჟის მიმართულებითაც შევიმუშაოთ სტრატეგია. დასავლეთ საქართველოში არის ძალიან დიდი ფართობები, რომელიც აუთვისებელია, რადგან ჩასატარებელია შესაბამისი სამუშაოები დრენირების კუთხით. ჩვენი მიზანია, რომ ეს ფართობები მოვაქციოთ ეკონომიკურ ბრუნვაში და სასაოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩავრთოთ. ამ ყოველივეს სჭირდება სტრატეგიული ხედვა და შესაბამისი სამოქმედო გეგმა. ვფიქრობ, მომავალი წლების განმავლობაში ამ მიმართულებით გაცილებით დიდ რესურს მივმართვთ, რადგან ეს ფართობები მოექცეს ბრუნვაში და ათვისებული იქნეს; მათ ძალიან დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია ფერმერებისთვის და ჩვენი ქვეყნისთვის.

- რამდენიმე სიტყვით მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს შექმნის მიზანსა და გეგმებზეც რომ გვესაუბროთ.

მიწის სააგენტო 2020 წელს შეიქმნა. პირველი ამოცანა, რომელიც მას დასახული აქვს, მიწის ბალანსის შედგენა და მიწის რესურსების აღრიცხვის ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნაა. მთავრობამ უკვე დაამტკიცა მიწის ბალანსის შედგენის წესი, მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულია ბალანსის ფორმაც. განსახორციელებელია საკმაოდ შრომატევადი საქმე, რადგან, 2003 წლის შემდეგ, ქვეყანაში მიწის ბალანსი არ შედგენილა. მოგვიწევს ძალიან დიდი მონაცემების თავმოყრა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მათი დამუშავება. ამ საქმეში უმნიშვნელოვანესია დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა. მსოფილო ბანკი და საფრანგეთის განვითარების სააგენტო გვეხმარებიან, რომ მოხდეს ორგანიზაციის ინსტიტუციური განვითარება და ტექნიკური უზრუნველყოფა. ასევე მნიშნელოვანია, განვითარებული ქვეყნების ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, სადაც ასეთი ტიპის სააგენტოები უკვე ახორციელებენ იმ ღონისძიებებს და ასრულებენ იმ სამუშაოებს, რომლებიც შემდგომ წლებში შესასრულებლად გვაქვს დასახული.

სააგენტოს მეორე მნიშვნელოვანი მიმართულებაა, ქარსაფარი ზოლების კუთხით ქვეყანაში არსებული სიტუაციის გამოვლენა და დარეგულირება. პარლამენტში ინიცირებულია „ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი. მისი დამტკიცების შემთხვევაში, დარეგულირდება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაცია, გაშენება, შემდგომ მათი მოვლა-შენახვა და დაცვა. ჩვენ, პარალელურ რეჟიმში, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით დავამტკიცეთ საპილოტე პროგრამა, რომლისთვისაც, წელს, ბიუჯეტიდან გამოყოფილია 300 ათასი ლარი. კახეთის ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში დავიწყებთ ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაციის პროცესს, გამოვლენილი შედეგები საშუალებას მოგვცემს, დონორებთან თანამშრომლობით, კერძო სექტორთან ერთად, ბიუჯეტის მხარდაჭრით თუ სხვა წყაროების მოძიებით, დავგეგმოთ ქარსაფარი ზოლების გაშენების ღონისძიებები.

დაწყებული გვაქვს მუშაობა საძოვრების მართვის პოლიტიკის დოკუმენტზე. 2022 წლისთვის ეს დოკუმენტი მზად უდნა იყოს. საძოვრების მართვა არის ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი თემა. ჩვენი სურვილია, ერთი მხრივ, ხელი შევუწყოთ მეცხოველეობის განვითარებას ქვეყანაში და, მეორე მხრივ, დავიცვათ ნიადაგი და საძოვრები დეგრადაციისგან. ამ დოკუმენტის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული პირი. ეს დოკუმენტი იქნება საწინდარი საკანონმდებლო რეგულაციის ჩამოყალიბებისა და იმ პროექტის მომზადების, რომელიც დაარეგულირებს ქვეყანაში საძოვრების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ლევან დავითაშვილი: „RMG-ის მიერ გარემოზე ზიანის შემცირების მიზნით გაწეული საქმიანობის მონიტორინგს სამინისტრო მუდმივად ახორციელებს"

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტთან არსებული, ქვემო ქართლის რეგიონში გარემოს დაბინძურების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის („საყდრისის კომიტეტი", „მწვანე პოლიტიკის საზოგადოებრივი და სამეცნიერო - კვლევითი პლატფორმა") წევრებთან ერთად, კაზრეთში იმყოფებოდა, სადაც კომპანია RMG Cooper-ისა და RMG Gold-ის მიერ სამინისტროს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების პროცესს გაეცნო. მინისტრი მიწისქვეშა მაღაროშიც იმყოფებოდა. მაღარო კომპანიის მიერ თანამედროვე ტექნოლოგიებით განხორციელებული ახალი სამთამადნო პროექტია.

სამი წლის წინ, კომპანიას, სამინისტროს მიერ, გარემოსდაცვითი ღონისძიებების როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი ვალდებულებები დაეკისრა, რომელთა შესასრულებლად 30 მილიონ ლარზე მეტი უკვე დახარჯულია.

„გარემოზე ზიანის შემცირების მიზნით, კომპანიასთან ერთად, კონკრეტულ დროში გაწერილი გეგმა განისაზღვრა, რომლის მონიტორინგსაც სამინისტრო მუდმივად ახორციელებს. პირადად მე და სამინისტროს შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები ხშირად ვართ კაზრეთში და პროცესის მიმდინარეობას ადგილზე ვეცნობით. გარკვეული პროგრესი ნამდვილად სახეზეა. მაგალითად, მდინარეების დაბინძურების აღმოფხვრის საკითხი - დღეს ფოლადაური და მაშავერა ბევრად უფრო სუფთაა, ვიდრე წლების წინ იყო. ასევე, მნიშვნელოვანია რეკულტივაციის სამუშაოები, მიმდინარეობს სანაყაროების აღდგენა; თუმცა, ეკოსისტემის გაუმჯობესება ამ მიმართულებით საკმაოდ რთულ სამუშაოს უკავშირდება. ჩვენ ვითხოვთ, რომ, სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად, მაქსიმალურად სწრაფად და მასშტაბურად მოხდეს რეკულტივაცია", - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

კომპანიის მიერ გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულებისთვის მიმდინარე სამუშაოებს სამოქალაქო სექტორიც უწევს მონიტორინგს.

„ამ სამი წლის განმავლობაში, რაც საყდრისის კომიტეტის აქტიურობით მონიტორინგი ხორციელდება კომპანიის გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულებაზე, ბევრი მნიშვნელოვანი რამ გაკეთდა. თუმცა, საბოლოო შედეგებამდე ჯერ კიდევ არაერთი სამუშაოა ჩასატარებელი. გარკვეული ნაბიჯები კვლავ იდგმება და ჩვენ კომპანიის მონიტორინგს მომავალშიც გავაგრძელებთ", - განაცხადა „საყდრისის კომიტეტის" წევრმა, ნინო ბურჭულაძემ.

როგორც კომპანიის RMG აღმასრულებელმა დირექტორმა, თორნიკე ლიპარტიამ განაცხადა, სამინისტროს მიერ დადგენილი ვალდებულებების ფარგლებში, კრიტიკულ წერტილებში მოეწყო წყალშემკრები ავზები და კორექტორი, რეზერვუარებში შეგროვილი წყლები გადაიტუმბება გამწმენდ ნაგებობაში და მდ. ფოლადაურში გაწმენდილი წყალი ჩაედინება; მიმდინარეობს სარეკულტივაციო სამუშაოები და მწვანე საფარის აღდგენა.

UNDP-ის და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, ტყის მრავალფუნქციური გამოყენების ხელშემწყობი პროექტი მიმდინარეობს

ეროვნული სატყეო სააგენტო, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, პროექტს „ტყის გამოყენების მრავალფუნქციური პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა" ახორციელებს. პროექტი მიზნად ისახავს სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერებას; განსაკუთრებული აქცენტი ტყის ფართობებზე ტურისტული და რეკრეაციული პოტენციალის გამოყენებისა და ეკოტურიზმის განვითარებაზე კეთდება.

სამუშაო შეხვედრას, რომელზეც პროექტის მიმდინარეობის საკითხები განიხილეს, ეროვნული სატყეო სააგენტოს, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის (GNTA), დაცული ტერიტორიების სააგენტოს (APA), გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

როგორც შეხვედრაზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, იური ნოზაძემ განაცხადა, ეროვნული სატყეო სააგენტო აქტიურად მუშაობს მის მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის განვითარების მიმართულებით. ტურისტული მარშრუტებისა და საფეხმავლო ბილიკების ქსელის განვითარება წარმოადგენს ეკოტურიზმის განვითარების ძირითად საფუძველს; შესაბამისად, საფეხმავლო ბილიკების განვითარების ეროვნული დონის ოპერაციული სახელმძღვანელო განვითარების პროცესის ერთ-ერთი ხელშემწყობი ინსტრუმენტი იქნება. აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში, ეკოტურიზმისა და ეკოსისტემური სერვისების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, შემუშავდება ლენტეხის, ცაგერის, ონის, ამბროლაურისა და ჩოხატაურის სატყეო უბნებისთვის ეკოტურიზმის განვითარების სამოქმედო გეგმებიც.

მრავალმიზნობრივი ტყითსარგებლობა, სატყეო სექტორის მიმდინარე რეფორმისა და ტყის ახალი კოდექსის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, რომელიც, გრძელვადიან პერსპექტივაში, უზრუნველყოფს ტყის ეკოსისტემური სერვისების ეფექტიან გამოყენებას და სოფლად განვითარების ხელშეწყობას.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, ცირკულარული ეკონომიკის შესახებ სემინარი გაიმართა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ცირკულარული ეკონომიკის შესახებ გამართულ სემინარს დაესწრო. მინისტრის მოადგილემ საქართველოში ცირკულარული ეკონომიკის მიდგომებისა და არსებული გამოწვევების შესახებ ისაუბრა.

როგორც სოლომონ პავლიაშვილმა სემინარზე აღნიშნა, ცირკულარული ეკონომიკის მიდგომების დანერგვა სამრეწველო ნარჩენების შეკვეცის, საშიში ნივთიერებების წარმოებისა და მათი ზემოქმედების შემცირების, კლიმატური ცვლილებების შერბილებაში წვლილის შეტანის შესაძლებლობას იძლევა.

„ცირკულარული ეკონომიკური სისტემა ბუნებრივ რესურსებს მაქსიმალურად ეფექტიანად მოიხმარს, მასალებისა და პროდუქციის ღირებულებას მათი წრებრუნვის გზით ინარჩუნებს და ეკონომიკური საქმიანობის მავნე ზემოქმედებას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ამცირებს. დღეს, მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნებიც კი, ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის ადრეულ ეტაპზე იმყოფებიან; ამ ეტაპზეა საქართველოც. ცირკულარული ეკონომიკა ეფექტიანი გზაა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მნიშვნელოვანი ნაწილის მისაღწევად ", - განაცხადა შეხვედრაზე სოლომონ პავლიაშვილმა.

ლევან დავითაშვილი შიდა ქართლში ფერმერებსა და მეწარმეებს შეხვდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრთან, ირაკლი ქარსელაძესთან და მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსთან, ლერი ბარნაბიშვილთან ერთად, შიდა ქართლში, ფერმერებსა და მეწარმეებს შეხვდა.

„ძალიან საინტერესო შეხვედრები გვქონდა შიდა ქართლის ყველა მუნიციპალიტეტის ფერმერებთან, სადაც სოფლის მეურნეობის მიმართულებით არსებული სამომავლო გეგმები განვიხილეთ. ყურადღება გამახვილდა პრემიერის ინიციატივით შემუშავებულ გრძელვადიან ხედვებზე, დარგობრივ განვითარებაზე. რა თქმა უნდა, ფერმერებისთვის ძალიან საინტერესოა, რას გეგმავს სახელმწიფო, რა სამომავლო მიდგომები გვაქვს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, ფერმერების მხრიდან მათი საჭიროებების მოსმენა, რაც, რა თქმა უნდა, მოკლევადიან პროგრამებში იქნება ასახული", - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის, ლერი ბარნაბიშვილის განცხადებით, სახელმწიფო გეგმაზომიერად ახორციელებს სოფლისა და სოფლის მეურნეობის გაძლიერების პოლიტიკას.

„ჩვენ კარგად გვესმის ის გამოწვევები, რომლის წინაშეც დადგა ბიზნესი პანდემიის შედეგად. სახელმწიფო, თანადაფინანსების პრინციპით, მეწარმეებს ბაღების გაშენებისა და სანერგე მეურნეობის შექმნის ხარჯების დაფინანსებაში ეხმარება ", - განაცხადა ლერი ბარნაბიშვილმა.

ფერმერებთან გამართულ შეხვედრას, რომელიც დიალოგის რეჟიმში წარიმართა, შიდა ქართლის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებული ვალერიან მჭედლიძეც ესწრებოდა. ფერმერებმა განსაკუთრებული ინტერესი სოფლის განვითარების სააგენტოს პირველადი წარმოების, გადამმუშავებელი და სამაცივრე მეურნეობების თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამების მიმართ გამოხატეს.

გიორგი ხანიშვილი ატმის მიმღებ-გადამმუშავებელი საწარმოების ხელმძღვანელებს და ფერმერებს შეხვდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი კახეთის რეგიონში იმყოფებოდა, სადაც ატმის მიმღებ-გადამმუშავებელი საწარმოების ხელმძღვანელებს და ფერმერებს შეხვდა.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში გამართული შეხვედრის შემდეგ, მინისტრის პირველმა მოადგილემ შემნახველი და სამაცივრე ინფრასტრუქტურა დაათვალიერა და ატმის მოსავლის აღების, დაბინავებისა და რეალიზაციის საკითხებთან დაკავშირებულ სამუშაოებს გაეცნო.

კახეთის რეგიონში, მინისტრის პირველ მოადგილესთან ერთად, კახეთის მხარის რწმუნებული ირაკლი შიოშვილი და გურჯაანის მერი არჩილ ხანდამაშვილი იმყოფებოდნენ.

„ღირებულებათა ჯაჭვის ყველა რგოლი გამართულად ფუნქციონირებს - გვაქვს თანამედროვე ატმის ბაღები, მაღალი სტანდარტის გადამმუშავებელი საწარმოები, თანამედროვე სამაცივრე სისტემა; თუ გასულ წელს 23 სამაცივრე მერნეობა იყო ჩართული ატმის მოსავლის დაბინავების პროცესში, წელს უკვე 36 მუშაობს", - აღნიშნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ, გიორგი ხანიშვილმა.

კახეთის მხარის რწმუნებულის, ირაკლი შიოშვილის განცხადებით, რეგიონში ყველა პირობაა შექმნილი ატმის რთველის წარმატებით ჩატარებისთვის.

ატმის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, მთელი სეზონის განმავლობაში, სპეციალური სამუშაო ჯგუფი იმუშავებს სოფლის განვითარების სააგენტოს კახეთის რეგიონული სამსახურის, ფიტოსანიტარიული და საბაჟო სამსახურების წარმომადგენლების შემადგენლობით. აღნიშნული ჯგუფი პროდუქციის ექსპორტისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებასა და გაცემას „ერთი ფანჯრის" პრინციპით უზრუნველყოფს.

ატმისა და ვაშლატამას ექსპორტის მოცულობა, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 18-ჯერ გაიზარდა

მიმდინარე წლის 1 მაისიდან 11 ივლისის ჩათვლით, საქართველოდან 11, 375 ტონა ატმისა და ვაშლატამას ექსპორტი განხორციელდა. ექსპორტის ღირებულებამ 10,001 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ატმისა და ვაშლატამას ექსპორტის მოცულობა 7,169 ტონით (170%), ხოლო ღირებულება - 6,441 ათას აშშ დოლარით (181%) გაიზარდა.

ამავე პერიოდში, ატმისა და ვაშლატამას საექსპორტო ფასი 4%-ით გაიზარდა და 0.88 $/კგ შეადგინა.

ექსპორტი ძირითადად განხორციელდა რუსეთსა (7,090) და სომხეთში (3,575 ტონა), ასევე, მცირე რაოდენობით აზერბაიჯანში (261 ტონა), უკრაინაში (217 ტონა) ბელორუსში (79 ტონა), ყაზახეთში (76 ტონა), მოლდოვასა (58 ტონა) და სლოვენიაში (18 ტონა).

მიმდინარე წლის 1 მაისიდან 11 ივლისის ჩათვლით პერიოდში, განხორციელდა 789 ტონა მოცვის ექსპორტი, რომლის ღირებულებამ 4,738 ათასი აშშ დოლარი შეადგინა

გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შეადრებით, მოცვის ექსპორტის მოცულობა 179 ტონით (29%), ხოლო ღირებულება 1,201 ათასი აშშ დოლარით (34%) გაიზარდა.

ამავე პერიოდში, მოცვის საექსპორტო ფასი 4%-ით გაიზარდა და 6.0 $/კგ შეადგინა.

ექსპორტი ძირითადად განხორციელდა რუსეთის ფედერაციაში (744.8 ტონა), ასევე, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში (18.6 ტონა), უკრაინაში (13.6 ტონა), ბულგარეთში (4.7 ტონა), სომხეთში (3.7 ტონა), ყატარში (1.6 ტონა), მალაიზიაში (1.1 ტონა), მოლდოვაში (0.9 ტონა), ლიბანში (0.3 ტონა) და სიანგანში (0.2 ტონა).

საქართველოს მთავრობამ აკვაკულტურის სფეროს განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი რეგულაციები დაამტკიცა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა „გარემოს დაცვა და სოფლის განვითარება 2030“ - გრძელვადიანი ხედვა წარადგინა, სადაც დეტალურად ისაუბრა განვითარების მიმართულებებზე, მათ შორის საქართველოს კანონზე „აკვაკულტურის შესახებ“, რომელიც საქართველოს მთავრობამ გასულ წელს დაამტკიცა და ძალაში 2021 წლის 1 მარტიდან შევიდა.

სწორედ აღნიშნული კანონის საფუძველზე, საქართველოს მთავრობამ „აკვაკულტურის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილება მიიღო, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს აკვაკულტურის განხორციელების პროცესში ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, გარემოს დაცვას, ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას, მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების ხელშეწყობას და, ასევე, იმ პირების დაცვას, რომლებიც, ამ ტექნიკური რეგლამენტის და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, აკვაკულტურის საქმიანობას ეწევიან. ტექნიკური რეგლამენტით განისაზღვრება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც აუცილებელია მდგრადი აკვაკულტურის საქმიანობისათვის.

გარდა ამისა, ტექნიკური რეგლამენტი ადგენს ეკოლოგიური მონიტორინგის განხორციელების წესს, რომლის მიზანია აკვაკულტურის სუბიექტის საქმიანობის გარემოზე ზეგავლენისა და რისკების შეფასება, შესაბამისი დასკვნისა და რეკომენდაციების შემუშავება და წყლის ეკოსისტემების დაცვა.

„აკვაკულტურის ტექნიკურ რეგლამენტთან ერთად“, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა დადგენილება ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ, რომელიც აკვაკულტურის სფეროს განვითარებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

ექსტენსიური აკვაკულტურა ბუნებრივ ან ხელოვნურ წყალსატევებში (ტბა, მდინარე, წყალჭაობიანი ადგილი, წყალსაცავი, ზოგიერთი არხი და წყალსატევი) თევზის სახეობების ქვირითით, ლარვით და ლიფსიტით, ბუნებრივი საკვები ბაზის ხარჯზე, ხელოვნურ გამრავლებას გულისხმობს.

დადგენილება ექსტენსიური აკვაკულტურის შესახებ ითვალისწინებს ნებართვის გაცემის პროცედურებსა და ვადებს, ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურ ჩართულობას წყლის სახელმწიფო რესურსების მართვაში და მათი მხრიდან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების ხელშეწყობას თევზის მეურნეობების მოსაწყობად.

ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვას, აკვაკულტურის უწყებათაშორისი საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, გარემოს ეროვნული სააგენტო 20 წლამდე ვადით გასცემს, ხოლო ნებართვის მიმღები პირი შესაძლებელია იყოს მხოლოდ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მცხოვრები საქართველოს მოქალაქე, რაც განპირობებულია ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების დაცვით.

აღნიშნული რეგულაციები ხელს შეუწყობს ქვეყანაში აკვაკულტურის დარგის მდგრად განვითარებას, ეკონომიკის ზრდას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას. მდგრადი აკვაკულტურის წარმოების პირობებში, ქვეყანა, 10 წლიან პერსპექტივაში, მინიმუმ გაასამმაგებს და 20 000 ტონაზე მეტი აკვაკულტურის პროდუქტის წარმოებას შეძლებს.

ველური ბუნების სააგენტოს ორნიტოფერმაში კოლხური ხოხბის, კაკბისა და გნოლის წიწილები გამოიჩეკა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ველური ბუნების სააგენტო აქტიურად მუშაობს ადგილობრივი გარეული სახეობის ფრინველების, კაკაბის, კოლხური ხოხბის, პორფირიონისა და გნოლის გამრავლებასა და ბუნებაში მათი პოპულაციების აღდგენაზე.

სააგენტოს გეგმაა კოლხური ხოხბის, კაკბის, გნოლისა და ხონთქრის ქათმის სადედე გუნდების გაზრდა შემდგომ მათი სტაბილური ნამატის მისაღებად, რომელიც გამოყენებული იქნება როგორც ველურ ბუნებაში გასაშვებად, ასევე სამონადირეო მეურნეობებისთვის მისაწოდებლად.

ველური ბუნების სააგენტოში, 2016 წლიდან, ფაუნის ადგილობრივი სახეობების მოშენება ხდება. გარეულ ფრინველთა ორნიტოფერმა 2017 წელს აშენდა, მოეწყო ბუნებასთან ინტეგრირებული ვოლიერები და საინკუბატორო საწიწილე ნაგებობები.

დღეისათვის, სააგენტოს ტერიტორიაზე კაკბები, კოლხური ხოხბები და ე.წ. „ლურჯი ფრინველი“ ანუ ხონთქრის ქათმები ბინადრობენ.

კაკაბი საქართველოში კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, ცივ-გომბორის, გურია-აჭარის და თრიალეთის ქედებზე, ქვაღორღიან, მეჩხერი ბუჩქნარით დაფარული მთების ფერდობებზე ბინადრობს. იკვებება მცენარის თესლით, ყლორტებით, კვირტებით და მწერებით.

საქართველოში კაკაბი წინათ კოლხეთის დაბლობზე, მტკვრის, ივრისა და ალაზნის ჭალებში ყოფილა გავრცელებული. კაკაბი დღესაც ბევრ ადგილას კვლავ ინტენსიურად მრავლდება. ბინადრობს ჭალის ტყეებში, მცენარეულობით მდიდარ წყალსატევების სანაპირო დაბლობებზე, ზღვის დონიდან 850 მ-მდე. ბუდეს იკეთებს ხმელი ფოთლებითა და ბალახით მიწის პატარა ჩაღრმავებაში.

წარმატებული საწარმო იმერეთის რეგიონში

გიორგი ღვინიაშვილი პროფესიით ექიმია. როგორც თავად აღნიშნავს, 2011 წლამდე სოფლის მეურნეობასთან შეხება არ ჰქონია.

„მე და ჩემმა მეგობარმა გადავწყვიტეთ, ისეთი სასოფლო-სამეურნეო საქმის წამოწყება, რომელიც ექსპორტზე იქნებოდა ორიენტირებული. 6 ჰექტარზე გავაშენეთ 8 სხვადასხვა ჯიშის ლურჯი მოცვი იმისათვის, რომ მაქსიმალურად გაგვეხანგრძლივებინა კრეფის პერიოდი. ჩვენი მოსავლის 80% ექსპორზე გადის, ადგილობრივ ბაზარზე მხოლოდ 20% იყიდება. გარკვეული პერიოდის შემდეგ, დავინახეთ, რომ მხოლოდ პლანტაციის ქონა აღარ იყო საკმარისი; სახელმწიფოს დახმარებით, ახალი საწამოს შექმნა შევძელით. ამ მხარდაჭერის გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა, ჩვენი ბიზნესი გამხდარიყო ასეთი მომგებიანი და წარმატებული“, - აღნიშნავს გიორგი ღვინიაშვილი.

შპს „აგროლეინის“ საწარმოს წარმადობა წლიურად 300 ტონა მოცვის გადამუშავებაა, საწარმო იმერეთის რეგიონში არსებული მოცვის პლანტაციების მფლობელ ფერმერებთან აქტიურად თანამშრომლობს, მათი ბაღებიდან მიღებული მოსავლის სწრაფ გაციებას, დახარისხებას, შეფუთვას და რეალიზაციას უზრუნველყოფს.

სახელმწიფო პროგრამის დახმარებით, აგროლეინის მოცვის ბაღში სასოფლო-სამეურნეო წარმოების სანიმუშო პრაქტიკის სტანდარტის, Global Gap-ის დანერგვის პროცესი მიმდინარეობს; პროდუქციის ბრენდირება კი ტექნიკური დახმარების პროგრამის მხარდაჭერით განხორციელდა.

სოფელ წინწყაროში რძის გადამმუშავებელი თანამედროვე საწარმო მოქმედებს

ქვემო ქართლის რეგიონში, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ წინწყაროში, რძის გადამმუშავებელი საწარმო „წინწყარო +“ სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა. რძის გადამმუშავებელი საწარმო რამდენიმე სახეობის ყველს აწარმოებს, მათ შორისაა ქართული ყველი, სულგუნი, შებოლილი სულგუნი და ნადუღი.

საწარმო დღიურად 6 ტონამდე რძეს გადაამუშავებს; საწარმოში დასაქმებულია 14 თანამშრომელი. პროდუქციის რეალიზაცია თბილისის ქსელურ მარკეტებში ხორციელდება.

„ჩემი ოჯახი 2005 წლიდან ეკომიგრანტის სტატუსით ცხოვრობს სოფელ წინწყაროში; სწორედ ამ დროიდან გადავწყვიტეთ მესაქონლეობის მიმართულებით წამოგვეწყო საქმე და დარგის განვითარებაში ჩვენი წვლილი შეგვეტანა. 2016 წლიდან, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს ხელშეყობით, შევქმენით თანამედროვე საწარმო, დავნერგეთ უვნებლობისა და ხარისხის საერთაშორისო სტანდარტები. ჩვენი მიზანია, დავფაროთ არამარტო ადგილობრივი ბაზარი, არამედ ჩვენი პროდუქცია ექსპორტზე გავიტანოთ საზღვარგარეთ, ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ნედლეულს ვაგროვებთ ადგილობრივი ფერმერებისგან, რაც საკმაოდ არასტაბილური პროცესია. ამიტომ, გადავწყვიტეთ შევქმნათ საკუთარი ნედლეული. ვფიქრობთ, თანამედროვე ტიპის, სადემოსტრაციო ფერმის ჩამოყალიბებას, სადაც გვექნება ნედლი რძე, რაც ხელს შეუწყობს წარმოების სტაბილურობას. მთელი ოჯახი ჩართული ვართ ამ პროცესში. სწორედ ოჯახურმა თანადგომამ, პრინციპულმა მიდგომამ და სახელმწიფოს მხარდაჭერამ განაპირობა ჩვენი წარმოების განვითარება“, - ამბობს კომპანიის „წინწყარო+“ დირექტორი - ზეინაბ აბულაძე.

ქ. წნორში კომბინირებული საკვების საწარმო ფუნქციონირებს

სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორში, სახელმწიფო პროგრამის „შეღავათიანი აგროკრედიტი“ ბენეფიციარი, მანანა მეტრეველი თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ, კომბინირებული საკვების საწარმოს ხელმძღვანელობს.

„18 წლამდე ვცხოვრობდი სოხუმში. 25 სექტემბერს, სოხუმის დაცემამდე 2 დღით ადრე დავტოვეთ ქალაქი; შემდეგ იყო რუსეთში ცხოვრების პერიოდი, 2008 წელს კი, დავბრუნდით საქართველოში და დავფუძნდით კახეთში. შევიძინეთ ტბორები და პირველივე დღიდან დავიწყეთ ფიქრი ტექნოლოგიებზე. შევისწავლეთ სხვა ქვეყნების გამოცდილებაც", - აღნიშნავს მანანა მეტრეველი.

ნედლეული, რომელითაც კომბინირებული საკვები მზადდება, ადგილობრივი წარმოებისაა. პროდუქცია ადგილობრივ ბაზარზე „ტაოფუდის“ სახელით იყიდება და გამოიყენება როგორც შინაური და გარეული ფრინველის, ასევე თევზის საკვებად.

როგორც მანანა მეტრეველი აღნიშნავს, იმის მიუხედავად, რომ პანდემიის პერიოდში დაიწყეს საქმიანობა, ძალიან მალე გახდა მათი პროდუქტი პოპულარული; ამ ყველაფერის მიღწევა კი, წარმოუდგენელი იქნებოდა სახელმწიფოს დახმარების გარეშე.

საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ, პროგრამით „დანერგე მომავალი“ გაშენებული კაკლის ბაღში პირველ მოსავალს ელოდებიან

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულთან ვალერიან მჭედლიძესთან ერთად ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ფცაში იმყოფებოდა, სადაც სახელმწიფო პროგრამის მხარდაჭერით გაშენებული კაკლის ბაღი დაათვალიერეს.

„რეგულარულად დავდივართ რეგიონებში; სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით, თითოეულ რეგიონს საკუთარი პოტენციალი აქვს. შიდა ქართლი განსაკუთრებით აღსანიშნავია; ის, კახეთის რეგიონთან ერთად, ერთ-ერთი ლიდერია პროგრამაში „დანერგე მომავალი". სწორედ პროგრამის მხარდაჭერით გააშენა კომპანიამ „აგროფცა" კაკლის ახალი პლანტაცია. კაკალი პოპულარული კულტურაა, რომელიც, ბოლო წლებია, ინტენსიურად შენდება საქართველოში. „აგროფცას" პლანტაცია საოკუპაციო ხაზთან არის გაშენებული, აქედან სულ რამდენიმე ასეულ მეტრში, სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი ტერიტორია ოკუპირებულია. ჩვენ გავაგრძელებთ სახელმწიფო პროგრამების თანადაფინანსებას მომავალ წლებში და ის ამბიციური მიზანი, რომ მეხილეობის ექსპორტმა ათ წლიან პერსპექტივაში, დაახლეობით, მილიარდი დოლარი შეადგინოს, აბსოლუტურად რეალისტური იქნება“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

პროგრამით „დანერგე მომავალი“ კაკლის ბაღი შპს „აგროფცამ“ 15 ჰექტარზე გააშენა; სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება 79,000 ლარს აღემატება.

შპს „აგროფცამ“ სახელმწიფოს მხარდაჭერით კაკლოვანი კულტურების შემნახველი მეურნეობაც მოაწყო; გადამმუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში, თანადაფინანსება 576,000 ლარს აღემატება, შეღავათიანი აგროკრედიტის თანხა კი, 890,000 ლარს აჭარბებს.

პროგრამით „დანერგე მომავალი“, ქვეყნის მასშტაბით, კაკალის ბაღი 3,231 ჰა-ზე გაშენდა, დაფინანსება 15.7 მილიონ ლარს აჭარბებს; მათ შორის, შიდა ქართლში კაკალი 576 ჰა-ზე გაშენდა, დაფინანსება 2.9 მილიონ ლარზე მეტია.

2019 წლიდან დღემდე, ვენახების საკადასტრო ამონაწერი გაცემულია 21 ათას ფერმერზე, აქედან 6 ათასი, მიმდინარე წელს

2021 წლიდან, რთველის დროს, ვენახების საკადასტრო ამონაწერის გარეშე, მევენახე ღვინის საწარმოს ყურძენს ვერ ჩააბარებს. ვენახების რეგისტრაცია და კადასტრის ამონაწერით მოსავლის ჩაბარება ყველა მევენახისთვის სავალდებულო გახდა.

ფერმერებს ვენახების რეგისტრაცია და ვენახის საკადასტრო ინფორმაციის განახლება ამ ეტაპზე ყვარელში, გურჯაანში, სიღნაღში, თელავში, ახმეტაში და აღნიშნული მუნიციპალიტეტების სოფლებში განთავსებულ, ჯამში, 47 სარეგისტრაციო უბანში შეუძლიათ.

რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში, ასევე, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში რეგისტრაცია უახლოეს დღეებში დაიწყება.

რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში, ღვინის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების მიერ უკვე მომზადებულია 10 პირი, რომლებიც მევენახეებს კადასტრის ერთიან ბაზაში დაარეგისტრირებენ.

ვენახების კადასტრის პროგრამასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელი ხაზს - 1501 დაუკავშირდნენ.

ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ბრენდის ექსპორტით მიღებული შემოსავალი 130 მლნ აშშ დოლარია

2021 წლის იანვარ-მაისში, საქართველოდან მსოფლიოს 55 ქვეყანაში 36,4 მლნ-მდე ბოთლი (0,75 ლ) ღვინოა ექსპორტირებული, რაც 15%-ით აღემატება 2020 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. ექსპორტით მიღებული შემოსავალი 82,4 მლნ აშშ დოლარია, ზრდამ, გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით, 8%-ს მიაღწია.

ექსპორტი გაიზარდა ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე: პოლონეთი - 11% (2,258,486 ბოთლი), ლიეტუვა - 63% (439,494 ბოთლი), აშშ - 26% (402,942 ბოთლი), ესტონეთი - 3% (258,640 ბოთლი), დიდი ბრიტანეთი - 5% (169,032 ბოთლი) და გერმანია - 23% (314,703 ბოთლი).

ექსპორტის ზრდა ასევე აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: უკრაინა - 6% (4,162,515 ბოთლი), კანადა - 54% (118,006 ბოთლი), ყაზახეთი - 80% (1,368,220 ბოთლი), რუსეთი - 17% (22,421,656 ბოთლი), ისრაელი - 95% (236,996 ბოთლი), აზერბაიჯანი - 41% (115,247 ბოთლი), მონღოლეთი - 600% (232,920 ბოთლი), ჩეხეთი - 900% (52,956 ბოთლი), თურქეთი - 324% (61,110 ბოთლი), შვედეთი - 20% (48,836 ბოთლი) და ა.შ.

ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულია: რუსეთი - 22,421,656 (ზრდა 17%), უკრაინა - ზრდა 6% (4,162,515ბოთლი), პოლონეთი - 2,258,486 (ზრდა 11%), ჩინეთი - 1,864,351 ბოთლი (კლება 3%) და ყაზახეთი - 1,368,220 (ზრდა 80%).

აღსანიშნავია, რომ გარდა ქართული ღვინისა, 2021 წლის ხუთ თვეში, საქართველოდან ექსპორტირებულია 13,5 მლნ ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი და 209 ათასი ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა. ბრენდის ექსპორტით მიღებული შემოსავლები, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გაიზარდა 3%-ით და 23 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, ხოლო ექსპორტირებული ჭაჭის ღირებულება 567 ათას აშშ დოლარს აღწევს, შემოსავლების ზრდა კი, 30%-ია.

აღნიშნულ პერიოდში, სხვადასხვა მოცულობის ქართული ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტი 270-მა კომპანიამ განახორციელა.

ჯამში, იანვარ-მაისში, საქართველოდან ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ბრენდის ექსპორტის შედეგად მიღებულია 130 მლნ აშშ დოლარის შემოსავალი, რაც 8%-ით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

პეკინში, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით გამართულ დეგუსტაციაზე, განსაკუთრებული მოწონება ქვევრის ღვინომ დაიმსახურა

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Georgian Wine Promotion House“ ორგანიზებით, ჩინეთის დედაქალაქ პეკინში ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა.

ქართული ღვინის ერთ-ერთ სტრატეგიულ ბაზარზე, ჩინეთში, პანდემიის დაწყებიდან დღემდე, აღნიშნული ღონისძიება ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური იყო და მას ღვინის პროფესიონალები, დიპლომატები, ღვინით ვაჭრობის სფეროს, მედიისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ჯამში, 100-მდე სტუმარი დაესწრო.

დეგუსტაციის მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცათ, ქართული ღვინის მწარმოებელი 10 კომპანიის 34 სხვადასხვა ღვინო დაეგემოვნებინათ. აღნიშნული ღვინის ნიმუშები ჩინეთის 15 სხვადასხვა ქალაქში წარმოდგენილი ქართული ღვინის იმპორტიორების მიერ შეირჩა.

ღონისძიების ორგანიზატორების ინფორმაციით, იქიდან გამომდინარე, რომ ჩინეთში სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება ქარვისფერი ღვინოები, დეგუსტაციაზე წარმოდგენელმა ქვევრის ღვინოებმა სტუმრების განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.

მონაკოში ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარი გაიმართა

ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ფარგლებში, მონაკოში, სასტუმროში „Le Meridian“ ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარი გაიმართა.

ხუთი ქართული კომპანიის სხვადასხვა სახეობის ღვინოები სომელიეებმა განსხვავებულ კერძებთან ერთად დააგემოვნეს და შეაფასეს.

ღონისძიებას 95 მოწვეული სტუმარი ესწრებოდა, მათ შორის, დარგის ექსპერტები, სომელიეები, პოტენციური იმპორტიორები და საერთაშორისო ასოციაციის „Epicure Club Monaco“ წარმომადგენლები.

დეგუსტაცია-სემინარი საერთაშორისო ასოციაციის „Epicure Club Monaco“ და ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი, ქართული ღვინის იმპორტიორი კომპანიის „LE PONT CAUCASIEN“ ორგანიზებით განხორციელდა.

ბრიტანელმა ღვინის ექსპერტებმა ქართული ღვინოებს საუკეთესო შეფასება მისცეს

ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ბრიტანული კომპანიის „Swirl Wine Group“ ორგანიზებით, ლონდონში ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გაერთიანებულ სამეფოში სოფიო ქაცარავა დაესწრო.

დეგუსტაციაზე, ქართული ღვინის ადგილობრივმა იმპორტიორებმა 50-ზე მეტი ქართული ღვინის სხვადასხვა ბრენდი წარმოადგინეს, რომლებიც უკვე ხელმისაწვდომია დიდი ბრიტანეთის ბაზარზე. ამასთან ერთად, წარმოდგენილი იყო 50-ზე მეტი ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიის 100-მდე დასახელების ღვინოები, რომლებიც ამ ეტაპზე, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ცდილობენ ქართული ღვინის სტრატეგიულ, დიდი ბრიტანეთის ბაზარზე დამკვიდრებას.

ღონისძიებას ადგილობრივი სომელიეები, იმპორტიორები, ღვინით ვაჭრობის სფეროს და მედიის წარმომადგენლები, ჯამში 100-ზე მეტი სტუმარი დაესწრო.

ქართული ღვინის დეგუსტაცია ლონდონის პრესტიჟულ რესტორან „ტრივეტში“ (Trivet) ჩატარდა, რომლის ღვინის მენიუც შედგენილია ღვინის განსაკუთრებულ ისტორიაზე დაფუძნებით. ამ აღიარებულ რესტორანში საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოს, შესაბამისი ადგილი უკავია მსოფლიოს სხვა საუკეთესო ღვინოებს შორის.

დეგუსტაციის შემდეგ სტუმრების გამოხმაურება განსაკუთრებულად დადებითი იყო, ხაზი გაესვა ქართული ღვინოების მაღალ ხარისხსა და მრავალფეროვნებას.

დიდი ბრიტანეთი ექსპორტისათვის ერთ-ერთი პოტენციურად მზარდი ბაზარია, სადაც, ღვინის ეროვნული სააგენტოს ქართული ღვინის მწარმოებლებთან თანმიმდევრული თანამშრომლობით, შესაძლებელი გახდა ქართული ღვინის ექსპორტის მზარდი ტენდენციის შექმნა. 2020 წელს დიდ ბრიტანეთში ექსპორტირებულია 500 ათასამდე ბოთლი ღვინო, ზრდამ 154% შეადგინა. ზრდის ტენდენციები შენარჩუნებულია 2021 წელსაც. მიმდინარე წლის 5 თვის მონაცემებით, ექსპორტირებულია 169,032 ბოთლი, ზრდამ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 5% შეადგინა.

რქაწითელი ვარდისფერი - ვარდისფერყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიში

წარმოშობა: ***კახეთი***

რქაწითელი ვარდისფერი - არის რქაწითელის კვირტული ვარიაცია. გამოვლენილია ვასილ ლოლაძის მიერ 1948 წელს. მიიღება მაღალხარისხიანი სუფრის მშრალი თეთრი და ვარდისფერი ღვინო. რქაწითელი ვარდისფერი ამჟამად მცირედაა გავრცელებული გურჯაანის, თელავის, ლაგოდეხის და ახმეტის მუნიციპალიტეტებში. ჯიში საშუალო ზრდისაა.

ზრდასრული ფოთოლი საშუალო ზომის, მომრგვალო ფორმის, სამ-ხუთნაკვთიანი. ფოთლის ქვედა მხარე თხლადაა შებუსული. მტევანი საშუალო ან საშუალოზე დიდი ზომისაა, ცილინდრულ-კონუსური, იშვიათად ცილინდრული ფორმის, ფრთიანი, საშუალო სიკუმსის. მარცვალი საშუალო ზომის, ოდნავ ოვალური, იშვიათად მომრგვალო ფორმის, ვარდისფერი. კანი საშუალო სისქისაა, რბილობი საშუალო სიმკვრივის, სასიამოვნო ჰარმონიული გემოთი.

სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა საშუალოდ 155-165 დღეა. სრულ სიმწიფეში შედის სექტემბრის ბოლოს. ერთი მტევნის წონა საშუალოდ 240-350 გრამია. ყურძნის სრული სიმწიფის პერიოდში შაქრიანობა 20-24% -ს, მჟავიანობა კი 6-7 გ/ლ-ს აღწევს.

ჯვარი - თეთრყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიში

წარმოშობა: ***ქართლი***

ევროპული წესით დაყენებული ღვინო არის ქარვისფერი, საკმაოდ სხეულიანი და სასიამოვნო გემური თვისებების. შერეული სახით გავრცელებული იყო სამგორის, მცხეთის, კასპის და ბოლნისის ვენახებში. ხასიათდება საშუალო ზრდა-განვითარებით.

ზრდასრული ფოთოლი საშუალოზე დიდი ზომისაა, გულისებური ფორმის, სამ-ხუთნაკვთიანი. ფოთლის ქვედა მხარე სუსტადაა შებუსული ჯაგრისებურად, რაც ძარღვების გასწვრივ ჭარბობს. მტევანი ძირითადად საშუალო ზომისაა, კონუსური ფორმის, ხშირად დატოტვილი, კუმსი ან საშუალო სიკუმსის, გვხვდება ზოგჯერ თხელი მტევნებიც. მარცვალი საშუალო ზომისაა, მომრგვალო, კანი შედარებით თხელი, რბილობი საშუალო სიმკვრივის, საკმაოდ ტკბილი გემოთი. ყვავილი მდედრობითი სქესისაა.

სავეგეტაციო პერიოდი საშუალოდ შეადგენს 160-163 დღეს. სრულ სიმწიფეში სექტემბრის ბოლოს შედის. მტევნის საშუალო წონაა 150-170 გრამი. ყურძნის წვენის შაქრიანობა 18-22%-ს, მჟავიანობა კი 7-9გ/ლ -ს აღწევს.

დანახარული - წითელყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიში

წარმოშობა: ***ქართლი*** *სინონიმები:* ***გაღმამხარული, დანახური, განახური***

მიიღება სუფრის წითელი მშრალი ღვინო. ასევე გამოიყენება საკუპაჟედ. პატარა ჯგუფებად იყო გავრცელებული გორში, კასპსა და ცხინვალში. ჯიში ძლიერი ზრდისაა.

ზრდასრული ფოთოლი დიდი ზომის, მომრგვალო ან ოდნავ წაგრძელებული ფორმის, ძირითადად ხუთნაკვთიანია. ფოთლის ქვედა მხარე შიშველია (შეუბუსავი). მტევანი საშუალო ან საშუალოზე დიდი ზომისაა, კონუსური ან ცილინდრულ-კონუსური ფორმის, ზოგჯერ ფრთიანი, კუმსია, გვხვდება ძლიერ კუმსი და საშუალო სიკუმსის მტევნებიც. მარცვალი საშუალო ზომისაა, მომრგვალო ან სუსტად ოვალური, მუქ - ლურჯ ფერში გარდამავალი, თხელი, მაგრამ მკვრივი კანით, რბილობი საშუალო სიმკვრივის, სასიამოვნო გემოთი.

სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა შეადგენს 173-185 დღეს. სრულ სიმწიფეში სექტემბრის ბოლოს, ოქტომბრის დასაწყისში შედის. მტევნის წონა 140-400 გრამია. ყურძნის სრული სიმწიფის პერიოდში მისი შაქრიანობა 19-20% -ს, მჟავიანობა კი 5-7გ/ლ -ს აღწევს.

ბუზა - წითელყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიში

წარმოშობა: ***ქართლი*** *სინონიმები:* ***საბუზე, ბუზის ყუძენი „ქანქუდოღი“***

მიიღება სუფრის წითელი მშრალი ღვინო. ზღვის დონიდან 650-1000 მეტრ სიმაღლეზე უკეთესი ხარისხის პროდუქციით ხასიათდება. ბუზა, როგორც შედარებით საადრეო სიმწიფის პერიოდის ვაზის ჯიში, მიზანშეწონილია გაშენდეს მევენახეობის მაღალ ზონაში. მცირე სახით იყო გავრცელებული ქართლის ვენახებში. ჯიში საშუალო ზრდით ხასიათდება.

ზრდასრული ფოთოლი საშუალო ან საშუალოზე დიდი ზომისაა, წაგრძელებული, იშვიათად მომრგვალო, ხუთნაკვთიანი. ფოთლის ქვედა მხარე სქლადაა შებუსული. მტევანი მცირე ან საშუალო ზომისაა, ცილინდრული, ან ცილინდრულ-კონუსური ფორმის, ფრთიანი, საკმაოდ კუმსი, გვხვდება მეჩხერი მტევნებიც. მარცვალი მცირე ან საშუალო ზომისაა, მომრგვალო, მუქი ლურჯი. კანი თხელი და უხეში აქვს, რბილობი რბილი კონსისტენციისაა, გემო სასიამოვნო და ტკბილია.

სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა დაახლოებით 155 დღეა. სიმწიფეში სექტემბრის ბოლოს შედის. მტევნის წონა 100-150 გრამია. ყურძნის სრული სიმწიფის პერიოდში შაქრიანობა 20.5-23% -ს, მჟავიანობა კი 5.8გ/ლ-ს აღწევს.

თეთრა - ღვინის მღვიმე
ახალი ტურისტული მიმართულება იმერეთში

მსოფლიო მნიშვნელობის ბალნეოლოგიურ კურორტ წყალტუბოდან სულ რაღაც 1.6 კმ-ში ახალი თავგადასავალი გელით. მღვიმეებითა და კანიონებით მდიდარ იმერეთს, პოპულარული „პრომეთესა“ და „სათაფლიას“ მღვიმეების შემდეგ კიდევ ერთი მღვიმე შეემატა, რომელიც თავისი ისტორიით განსაკუთრებულ მოგზაურობას გპირდებათ.

თეთრა მღვიმე პირველი ეკოტურისტული სივრცეა საქართველოში, სადაც თეთრი, ქათქათა ფერის ნაღვენთებით გამორჩეულ, ულამაზეს და უძველეს მღვიმეში დაძველებული ღვინის დეგუსტაციას შეძლებთ. საქართველოში და ევროპის ქვეყნებში პირველად „თეთრა მღვიმეში“ დაინერგა და დამკვიდრდა, საკმაოდ წარმატებული და ყველასათვის მიმზიდველი ინოვაციური სერვისი, რაც გულისხმობს: - მღვიმის თანაბარ მუდმივ ტემპერატურაზე, ბუნებრივ პირობებში ღვინის დაძველებასა და აქ დაძველებული ღვინის დაგემოვნებას. ასევე, მღვიმეში შესაძლებელია სპელეო-გამაჯანსაღებელი სეანსის ჩატარება.

იმოგზაურეთ 30 000 წლის წინანდელ მიწისქვეშა, თეთრ სამყაროში, რომელიც განსაკუთრებული სილამაზის გარდა, მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლია და საქართველოს ისტორიის ნაწილს წარმოადგენს.

თეთრა მღვიმე თანამედროვე ისტორიაში პირველად მოხსენიებულია 1915 წელს, ვლადიმერ ბაბეს ნაშრომში; ხოლო ფართო საზოგადოებისათვის მღვიმე ცნობილი გახდა 1955 წლიდან, მას შემდეგ, რაც ადგილობრივმა გეოგრაფიის მასწავლებელმა, თავის მოსწავლეებთან ერთად, ხელმეორედ „აღმოაჩინა“ იგი და მრავალი წერილი გამოაქვეყნა ადგილობრივ და ცენტრალურ გაზეთებში.

მღვიმე სულ 3 დარბაზისაგან შედგება, რომლებიც ერთმანეთისგან უნიკალური სტალაქტიდებით, სტალაგმიტებითა და სტალაგნატების სვეტებითაა გამიჯნული.

თეთრა მღვიმეში პირველად 30 000 წლის წინ, ხოლო მეორედ 8000 წლის წინ უცხოვრია ადამიანს. მღვიმის პირველი დარბაზი, რომელიც, ამავდროულად, მღვიმის შესასვლელია, საცხოვრებელს წარმოადგენდა, ამ ფაქტის ნათელი დადასტურებაა შავად შეფერილი ჭერი და ნაღვენთები.

მღვიმის მეორე დარბაზს ადამიანი იყენებდა სარიტუალო დანიშნულებით, სწორედ ამ დარბაზში მკვლევარების მიერ მოპოვებულია 15 000 -მდე არქეოლოგიური ექსპონატი, მათ შორის, ერთადერთი სპილენძის ისრის პირი, რომელიც დაცულია წყალტუბოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

მღვიმეში მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალათა შორის განსაკუთრებით საყურადღებო მაინც ადამიანის ნაშთის აღმოჩენაა: კერძოდ პალეოლითელი ადამიანის იდაყვის ძვალი, რომელიც დღესდღეობით საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იმ დროინდელი ადამიანისთვისაც, რიტუალების ჩატარება წარმოუდგენელი იყო ღვინის გარეშე, რასაც ნათლად ასახავს - ღვინის 8000 წლოვან ისტორიას. მესამე დარბაზს კი, ადამიანი სათავსოდ იყენებდა.

„თეთრა მღვიმეს“ - სუფთა და სპეციფიკური ჰაერის წყალობით, გამაჯანსაღებელი ფუნქცია გააჩნია. აღნიშნული მიმართულებით მღვიმე ფუნქციონირებდა 80-იან წლებში და საკმაოდ ცნობილია ამ კუთხით. „თეთრ მღვიმეში“ მთელი წლის მანძილზე თანაბარი ტემპერატურა და მიკროკლიმატია.

საქართველოს დაცული ტერიტორიები გეპატიჟებათ თეთრა მღვიმის აღმოსაჩენად! აქ თქვენ უხვად შეხვდებით ბუნების ნამდვილ შედევრებს - სტალაქტიდებსა და სტალაგმიტებს, რომელთა ულამაზესი თეთრი ნაღვენთი ფორმები ზღაპრული გარემოს შთაბეჭდილებას დაგიტოვებთ. იმოგზაურეთ და აღმოაჩინეთ ბუნების მიერ შექმნილი კიდევ ერთი საოცრება საქართველოში!